ყ-47

თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 3 პიონერი

სახელგამი 1932 წ

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 3

თებერვალი 1932

წელიწადი მე-7

რედაქციის მისამართი: ალმასკომის ქ., № 7.

სახელგამი, საყმაწვილო და საბავშო სექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტფილისის კავშირგაბმულობის მუშაკთა კლუბთან არსებულ პიონერთა კოლექტივი.

## შინაარსი

1. თებერვალი—(ლექსი) **გ. შატბერაშვილი** . . 1
2. საბჭოთა უკრაინაში—**გ. ქუჩიშვილი** . . . 1
3. შა, ამხ. ჩუ-დე!—(ლექსი) **სეზმან ერთაწმინდელი** 3
4. ლუტუნა და სტეფანე—**ბ. ჩხეიძე** . . . . . 4
5. ხუთწლედის პატარა გმირები — **ნოე დაფნარელი** . . . . . . . . . . . . . . 6
6. არაჩვეულებრივი სკოლა—**მ. ოგნევი**, თარგ. **ნ. ნაკაშიძის** . . . . . . . . . . . 7
7. მტვრიან ქუჩიდან დამკვრელ დაზგამდე — (ლექსი) **დავ. შამათავა** . . . . . . . . . 11
8. ორი ძალა—**მ. კოზორი**—თარგ. **მ. კეკელიძის** 11
9. ვიბრძოლოთ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ—**ნ. კრუპსკაია** . . . . . . 13
10. ძორაჰესი—**შ. თაბუკაშვილი** . . . . . . . 14
11. ცხოვრება და სიკვდილი—**კიშ-ის** . . . . . 15
12. წარმოდგენა ტროკადეროში . . . . . . . 16
13. მეცნიერება და ტექნიკა . . . . . . . . . ყდაზე



ტფილისის პოლიგრაფსკოლის მოწაფეები საბეჭდავ მანქანაზე მუშაობენ.

### ჟურნ. პიონერის რედაქციას

მკითხველის! საყურადღებოდ გთხოვთ გამოაქვეყნოდ, რომ ჩემს ძიერ დამუშავებულ **ფედოსიევის** ბროშურა **„რჩევა - დარიგება რგოლის წინამძღოლს“**-ში დაუკვირვებლობის გამო გაიპარა პიონერორგანიზაციის არა სწორი განმარტება — სწერია: **„პიონერორგანიზაცია პოლიტიკური ორგანიზაციაა“. უნდა იყოს „პიონერორგანიზაცია პოლიტიკური აღმზრდელობით ორგანიზაციაა“.**

სერგო აბულაძე.

ამხ. პიონერებო, რა გააკეთეთ თქვენი ჟურნალის ტირაჟის ასაწევად, მისი მასაში გავრცელებისათვის? მოგვწერეთ კონკრეტულად რა მუშაობას აწარმოებს ამ მიმართულებით თქვენი რაი-ბიუროები.

რედაქცია.



გარნიზონის ნაწილები ესალმება სრულიად საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-8 ყრილობას.

## თებერვალი

ბევრი ვიყავით
სულ პატარა და თითის ტოლი,
მაინც ხალისით
შევყურებდით დღეებს შემოსულს,
გაფაციცებით ვაჯროვებდით
დამწვარ ფისტონებს
და შევხაროდით
მოედნების მზის ფერ სამოსელს.
წინა დღით ქარი
ღრიალებდა,
და ქარიშხალი
შორს იტაცებდა
აშლილ ნამქერს და თოვლის ფან-
ტელს,
თებერვალი კი
მოდიოდა ცეცხლის მაშხალით
და ტანში ჰლვრიდა
სიხარულის ქარს და ქრიუანტელს...
მზე არსად ჩანდა,
მაგრამ დროშა,
საბჭოთა დროშა
მასების ზღვაზე
შრიალებდა მხნედ და ხალისით,
ჯერ ჩვენ არავის არ გვენახა
გარდასულ დროში
დღეები უფრო
მზიანი და უმხურვალესი!
და შრიალებდა
დროშა უფრო მხნედ და ამაყად,
ქუჩებში თოვდა,
ქარს მოჰქონდა თოვლის ფანტელი,
და მხოლოდ მაშინ
წამოვზიდეთ მკერდები მაღლა,
როცა მოიჭრა
თებერვალი კორიანტელით!!

ბ. შატბერაშვილი

## საბჭოთა უკრაინაში

სიხარულისაგან ფეხზე აღარა ვდგავარ.

გული ამოფრენას აპირებს საგულედან.

პიონერივით ვკისკისებ, ვმღერი.

— უკრაინა! მოძმე უკრაინა! — აი მიზეზი ჩემი სიხარულისა, აი რას დასტრიალებს ფიქრი ჩემი ფრთაელვიანი.

რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!

ყველა გულში მინდა ჩავიკრა, ყველას მინდა გადავეხვიო და გადავკოცნო!

ხუმრობა ხომ არ არის: მთელ ჩემ სიცოცხლეში პირველად მიხდება საქართველოს საზღვრებიდან გასვლა.

მშვიდობით, ჩემო კლდე-ქალაქო, ჩემო ტფილისო! ნახვამდე, ჩემო საყვარელო ნაძალადევო, ჩემო ქარხნებო, ქუჩებო და ამხანაგებო!

—უ-უუუ! — რიხიანი ხმით იკივლა ორთქლმავალმა და ისარივით წავიდა მოლაპლაპე ლიანდაგზე.

— ტიკ-ტაკ-ტაკ!

დაგ-და-დაგ! — ისმის წკრიალა ჰანგები რონოდების ფოლადის ბორბლებისა.

დაღამდა...

ელექტრო ლამფები აენთო.

ფანჯარასთან ვარ აყუდებული და თვალს არ ვაშორებ გიგანტ ზაჰესით გაჩირაღდნებულ ფუნიკულიორს, ალმასის თვლებით მოჭედილ ოქროს გვირგვინით რომ დასდგომია თავს პროლეტარიატის ციხე-სიმაგრეს — განახლებულ ტფილისს!

ნავთლუღს, რომ გავცდით, წამოვწექი.

დავიძინოთ, გიორგი, — მითხრა მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა, რომელიც ჩემთან ერთად მოდიოდა უკრაინაში და ლოგინის გაშლა დაიწყო.

მართლაც, ძილის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა, რადგანაც გარეთ სიბნელე იყო და სინათლეც რომ ყოფილიყო, თვალის დამღლელი შიშველი კელების მეტს ვერას დავინახავდით ამ გზაზე.

რონოდი სრწევითა და ბორბლების რაკრაკით ისე ღრმად ჩაგვძინებოდა, რომ გათენებისას გამოგვეღვიძა.

— ბაქო, გიორგი, ბაქო გამოჩნდა! — მახარებს ილიკო ქურხული და მეც აღტაცებით ვეგებები:

— სალამი ბაქოს!

— სალამი ძლევამოსილ პროლეტარიატს—ორნახევარ წელში რომ შეასრულა ხუთწლიანი გეგმა!

ქუდს ვიხდი 26 კომუნარის ხსოვნის წინაშე, საბჭოთა სადარაჯოზე რომ დაეცენ მსხვერპლად...

ზიზღი ჯალათებს. მსოფლიო იმპერიალიზმის ვერაგ აგენტებს, ბოლშევიკების ძველი გვარდიის საუკეთესო წარმომადგენლები რომ დახოცეს უკაცურ უდაბნოში!!

შაუმიანი!

ჯაფარიძე!

აზიზზეკოვი!
ფიალეტოვი!

აი ის ინტერნაციონალური წითელი დროშა, რომლის გარშემოც დაირაზმა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი თავისი დიქტატურის განსამტკიცებლად და კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად

ათი დღე-ღამის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ მივედით საბჭოთა უკრაინის დედაქალაქ ხარკოვში.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი ახალი შენობები, რომელთა წინაშეც ბურჟუაზიის დროინდელი ძველი სახლები ხუხულებივით მოჩანან.

თავისი გოლიათობით ყველა შენობას ჩრდილავს სრულიად უკრაინის სახალხო მრეწველობის სასახლე, რომელიც 5 კორპუსისა და 13 სართულისაგან შედგება.

ამბობენ: მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზე უდიდესი შენობა ჯერ-ჯერობით ეს არისო.

დასაჯერებელია.

მასში 10000 მეტი მოსამსახურეა, 450 დამლაგებელი რომ არ ვიანგარიშოთ.

აი რა შეუძლია კაპიტალიზმის მონობიდან განთავისუფლებულ მშრომელ ხალხს.

სკოლებსაც ვეწვიეთ.

გაიგეს თუ არა ჩვენი მისვლა, აღტაცებული ჟივილ-ხივილით შემოგვეხვივნენ მოწაფეები და მრავალ საინტერესო კითხვას გვაძლევდნენ საქართველოს მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით კი ჩვენი სკოლების შესახებ, რაზედაც დამაკმაყოფილებელ პასუხს ვაძლევდით.

მათ გავუმართეთ „ქართული კონცერტი".

მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა მოკლედ გააცნო ქართული ხალხური მუსიკის ისტორია, რის შემდეგაც რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულა სტვირზე, ფანდურზე, ჩანგზე და ვიოლინოზე.

ბავშვებს ყველაზე მეტად სტვირი მოეწონათ.

მეც ჩემი მოკლე მისასალმებელი სიტყვითა და საბავშო ლექსებით წარვდექი მათ წინაშე, ნათქვამის შინაარსი კი ილიკო ქურხულმა გადაუთარგმნა მათ რუსულად.

სკოლები დიდად კმაყოფილნი რჩებოდნენ ჩვენი გამოსვლებით.

კონცერტების შემდეგ ხალისიანი სიცილ-კისკისით გვიწვევდნენ თავიანთ სასადილოში ცხელ საუზმეზე, რაზედაც სიამოვნებით ვთანხმდებოდით ჩვენს პატარა მასპინძლებს.

წამოსვლისას პიონერები ძმურ სალამს გვაბარებდნენ საქართველოს პიონერებთან.

„ქართული საღამო - კონცერტები" ჩავატარეთ აგრეთვე მუშათა კლუბებში, სრულიად უკრაინის მუშკორთა ყრილობაზე — „ბერეზილ"-ის თეატრში და რადიოცენტრში.

უკრაინის ხალხური მუსიკის გასაცნობად მიგვიწვიეს „ბანდურისტების" კონცერტზე.

„ბანდურა" უკრაინული სიმებიანი საკრავია და ისევე გავრცელებულია აქაურ ხალხში, როგორც ჩვენში ფანდური (ქართლ-კახეთში), სტვირი (რაჭაში), ჩანგი (სვანეთში) და სხვ.

„ბანდურისტები", როგორც ჩვენი რაჭველი მესტვირეები, დადიოდნენ სოფლიდან - სოფელში, კარიდან-კარზე და ავრცელებდნენ ხალხურ სიმღერებს და ლექსებს.

ქარხნებიც დავათვალიერეთ.

მათ შორის ყველაზე უზარმაზარია „ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა", სადაც 30.000 მუშაა.



ალავერდის სპილენძის ქარხანა

ქალაქის ცენტრიდან 7 კილომეტრის მანძილითაა დაშორებული ეს გიგანტი.

ჩვენი იქ ყოფნის დროს ქარხნის წინ ზარბაზნებივით ჩამწკრივებული იყო ახალგამოშვებული 50 ტრაქტორი

აი ამ ქარხნის „დაბადების" მოკლე ისტორია.

ერთი წლის წინად აქ მხოლოდ მოტიტვლებული მინდორი იყო, სადაც უსაქმო ქარები დანავარდობდნენ.

პარტიისა და ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილა: „12 თვის განმავლობაში აგებულ იქნას სატრაქტორო ქარხანა, რომელიც წლიწადში მოგვცემს 50,000 ტრაქტორს".

პარტიის ამბავი დატრიალებულა:

17000 მშენებელს მოუყრია თავი პარტიისა და ხელისუფლების მოწოდებაზე და... ჰოი, საკვირველებავ! არამც თუ 12 თვეში, 10 თვეში აუგია ეს გოლიათი ქარხანა.

მოდი და ნუ შესძახებ ვაშას!

ორი ძმიე რესპუბლიკის დასაახლოვებლად ურთიერთშორის კულტურათა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს.

უკრაინის თეატრებში იდგმება ჩვენი ოპერები და პიესები.

ხარკოვში ჩვენ დავესწარით „აბესალომ და ეთერი"-ს დადგმას, სადაც აბესალომის როლს ასრულებდა ჩვენი ოპერის მსახიობი ნიკო ქუმსიაშვილი.

უკრაინის სახელგამის მიერ გადათარგმილ-გამოცემულია ჩვენი მწერლების ნაწარმოები და სხვა.

ძვირფასი განცდებითა და შთაბეჭდილებებით გამოვემშვიდობეთ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის გულს —ხარკოვს და ფრთაშესხმული სიხარულით მოვიმღეროდით საბჭოთა საქართველოსაკენ.

რამდენიმე სადგურის შემდევ ტკბილად ჩამძინებოდა, მაგრამ მწარედ გამომეღვიძა: ჩემი „ჩემოდანი", რომელშიაც მთელი ჩემი „ქონება" მელაგა, მატარებლების თანამგზავრ ქურდ-ბაცაცებს გაეტანათ.

ასე სამწუხაროდ დასრულდა სიხარულით დაწყებული ჩემი პირველი და, მგონებ, უკანასკნელი მოგზაურობა საქართველოს გარეთ.

**გ. ქუჩიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შა, ამხ. ჩუ-დე!

(ჩინელ წითელარმიელთა სიმღერა)

— შა! შა! 1) დაჰკა შეტევა,
სწრაფი გიჟ ტაიფუნზე! 2)
ჩვენი სვლა არ ეტევა
ახანძრებულ გუგუნზე!..

—

— ურჩ სიპების 3) ლაშქარი,
ბრძოლის ველზე ანთია!
მოვქრით უსვენ ლალ ქარით
და
გვშვენის მზის მანტია!..

—

— ო,
გზა!
ვმღერთ სხვა იერით,—
აღსდგა დღეს სხვა აზია!
— ვართ მზა,
და
ძვრა ძლიერი
მტრისთვის „ნათავაზია“!

—

— ბოქსერთ 4) ნაამბოხარ სულს
ჩვენ სულაც არ ვივიწყებთ
— და
მათ იერიშს, წარსულს,
ჯერ შინა მტრებზე ვიწყებთ!..

—

— აქეთ, კულებო 5), შა!
და...
— რიკშა 6),
ფეხწალო,
ღელვა!
— კომუნა გვაქვს დროშა —
და...
შენ ჰკა, შა, ხმალო
ელვა!..

—

— ჩვენ მოგვაქვს სხვა იდეა!
— ვქმნით კოცონს დიდ კედელზე...7)
და
ვქრით კიდით-კიდეა,
ნაალი ბანტით ყელზე!.. 8)

—

— სალამი ანაჯანყ „შუბს“! 9)
და
ჰა,
ხელი „დიდ დანებს“! 10)
— სისხლი რომ გიღარავთ შუბლს,
დაჰკათ
ხუნხუზ 11) დუბანებს!.. 12)

—

— ვლეწავთ დარაკონის 13) სალტას,
რა ვუტევთ მთელ იან-ცზით! 14)



ამხ. ლ. ბერია.
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას პირველი მდივანი.

და
საბჭოების კალთას
ზე
ვშლით წითელი ანძით!..

—

— მანდარინს 15) ეცა ელდა,
და
ველარ გადის ფონზე!
რა
ჩვენი სვლა აღელდა:
დაჰკრა,
წალეკა ბონზე!.. 16)

—

— ვიჭრით მონურ ჩვევის თმას 17),
მრავალ წელთ ნაქარავნებს...
და
ვისვრით
ლავად 18) რისხვის თქმას:
— მტრის ყელს თოკად არ ავნებს!..

—

— ჩვენი სვლა ცეცხლს აება,
ღვარები მტრებს ლეკენ,
და...
— ძველ ჩინეთის ვაება
დარჩება, ვით ლეგენდა!..

—

— ძმებო, უცხოთა მიერ
ჩინეთს ძარცვა ატყვია?!
— დაჰკა!
— შა!
— შა!
ამიერ:
განგაში! ლეგა ტყვია!..

—

— აღარ გვსურს მტრის მახვილზე
კისერს რომ დაბლა ვხრიდეთ!
— აუ!!!
ამ ჩვენს ძახილზე
მონებო, ალსა ჰღვრიდეთ!..

—

— გვინდა რკინის ხელებმა
კომუნა ასწიონ ზე...
— და
შვება მშრომელებმა
მართონ მზის ბასტიონზე!..

—

— მტერი კვლავ ადგა ყალყად?!
— მოვიდეს!
— სცადოს!
— ჩუ!
— დე...
— ჰკა! შა! ვინც გვერტყმის ალყად!
— წინ-იარ, ამხ. ჩუ-დე!!! 19)

ს. ერთაწმინდელი.

---

1) ჩინურად: ჰკა! ჰკალ!—იერიშზე გადასვლის დროს, აგრეთვე აღტაცების გამოხატვა. 2) გრიგალი. 3) რევოლიუციონერები, კომუნარები. 4) პირველი აჯანყებულნი უცხოელთა წინააღმდეგ ამ 40 წლის წინად. 5) მუშები. 6) კაცი, ცხენის ნაცვლად ეტლში გაბმული. 7) ცნობილი, ჩინეთის ლეგენდარული კედელი. 8) ჩინელი წითელ-არმიელ ბი წითელ ყელსახვევს ატარებენ. 9) აჯანყებულ გლეხთა რაზმი. 10) ესეც. 11) მძარცველი. 12) გენერალ-გუბერნატორი. 13) გველეშაპი, ძველი ჩინეთის ღერბი. 14) უდიდესი მდინარე, ველი. 15) თავადი, აზნაური, მოხელე. 16) სასულიერო პირი. 17) ათასეული წლის წინ მოუშვეს ჩინელმა მამაკაცებმა თმა მონობის ნიშნად მანჯურიელთ დინასტიის მიერ ჩინეთის დაპყრობის გამო. 18) ღველფი. 19) ჩინეთის წითელი არმიის სარდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღუტუნა და სტეფანე



ღუტუნა მთელი დღე იწვა ჩალასა და ქილობში ცხვირჩარგული. შემოდგომის მესამე თვეს საგრძნობი, სიცივე იყო, და ღუტუნა ახლოსაც აღარ ეკარებოდა გუბეს, მუდამ ანკარა წყლით სავსეს, ზაფხულზე, რომ მთელი დღე შიგ იწვა. ადამიანებსაც შეეჩვია, წინანდულად აღარ აფრთხობდა ღუტუნას მომვლელი. პირიქით, უხაროდა კიდევაც, ნამეტურ თუ მომვლელი სიმინდის ტაროებით და კომბოსტოს ანუ სხვა გემრიელი ყლორტებით ხელსავსე მოვიდოდა, ის წამოხტებოდა, დაიბიჯებდა წინა ფეხებს, კისერზე ჯაგარს დაიყენებდა და სიამოვნებით დაიღრუტუნებდა. შეეჩვია სტუდენტსაც, რომელიც მას წინად ძალიან სძულდა, რადგანაც სწორედ იმ სტუდენტმა დაიჭირა ის და ჩამოიყვანა ქალაქის საცდელ სადგურში. დამორჩილებულ ღუტუნას კიდევაც შეუყვარდა სტუდენტი, რადგანაც ყოველი მისი მოსვლა ნიშნავდა—ხვალ საკვებად ახალი საჭმელი: ბოლქვების, ხილის, კარტოფილის და მიწის ვაშლების მიღებას.

სტუდენტს იმდენად შეეჩვია, რომ აძლევდა ბუნაგში შესვლის და ნარჩენების დათვალიერების ნებას.

გულში კი ფიქრობდა:

— ახ, ნეტავ ჩემი ჭაობები და შამბები იყოს — ნახავდი მაშინ, როგორ მოხვიდოდი ახლოს.

აკი ახსოვდა კიდევაც სტუდენტს მათი ჯოგის ტახის ეშვი ბარძაყში.

მართლაც, ღუტუნა არ იყო ასე დამწყვდეულ ცხოვრებას მიჩვეული.

ის დაიბადა კახეთში, ალაზნის მარჯვენა ნაპირის თვალუწვდენელი დაბლობების ერთ დიდ, ქაცვებით და ეკლებით დაბანდულ ტყეში.

დედამისს ბუნაგი გაეჩინა ერთი დიდი ჭაობის შუაში კუნძულივით ჩადგმულ ჭალისა და ლერწამის ხშირ შამბში.

ექვსი და-ძმანი იყვნენ სულ. დიდა მთელი დღე წამოწოლილი იყო მზეზე, და ღუტუნა გაუმაძღრად სწოვდა რძით სავსე რბილ ჯიქანს. ხანდახან და-ძმებს ჩხუბი მოსდიოდათ, მაგრამ თავთავიანთი ძუძუების მიგნების შემდეგ რიგდებოდენ და ღრუტუნით ეხმაურებოდენ ერთი-მეორეს. როდესაც დედა თვლემდა, ღუტუნა მზის გულზე კოღოების ბზუის ცქერით ერთობოდა, როდესაც ის სანახაობა მოსწყინდებოდა, ჩაირბენდა ჭაობის პირად, გაინაბებოდა იქ და შორიდან უყურებდა ჭაობში ჩავარდნილ ტოტზე წამოსკუპებულ ბაყაყებს.

ღუტუნას მოსწონდა ბაყაყების მზაკვრული ნადირობა კოღოებზე და ბუზ-პეპლებზე.

ხანდახან კი თვით მოუვიდოდა აზრად ბაყაყის შეშინება. ამიტომაც ის მოულოდნელად ისკუპებდა და იქშუვლებდა, და დამფრთხალი ბაყაყები ტყაპანს მოადენდენ წყალში.

ღუტუნა გაინაბებოდა, ჩააცქერდებოდა იმ ადგილს, სადაც ბაყაყები ჩაიყურყუმალავებდენ, და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დამფრთხალი ბაყაყები კვლავ ამოჰყოფდენ წყლიდან თავს და გაიბერავდენ ყვრიმალებს. შემდეგ კი, დარწმუნებულნი, რომ საშიში არაფერი იყო, ისევ შესკუპდებოდენ დამპალ ტოტზე, ათამაშებდენ ენას, იჭერდენ მწერებს და სანსლავდენ.

ღუტუნა თვალყურის დევნებამ მოქანცა. ერთხელ სცადა ბაყაყის დაჭერა. ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც იგრძნო, რომ რძე მოსძულდა და კბილებმაც ქავილი დაუწყო.

საღამოს მოიღრუბლა, ნისლი ჩაწვა ჭაობში, და ის ჩუმი მონადირე ბაყაყები აყიყინდენ.

ღუტუნას თავი მოაბეზრა ყიყინმა და თავისი მოლაყბე მეზობლების დასჯა განიზრახა. დედა, რომ სანადიროდ წავიდა, ღუტუნამაც მიატოვა თავისი ბუნაგი, გუბისკენ გამოძვრა ძალიან ფრთხილად. ბაყაყები აბეზარად ხმაურობდენ, გუბეში კი მარცვლებივით ეცემოდენ წვიმის წვეთები. ღუტუნა ისე შეუმჩნევლად მიეპარა ბაყაყებს, რომ პატარა დინგი მათ ფეხებთან მიიტანა.

შეისუნთქა, ვერაფრად მოეწონა ბაყაყის სუნი და, რომ ყვირილი შეეწყვიტათ, ამისათვის მხოლოდ ერთი მათგანი მოიგდო პირში და გაწეწკა, სხვებმა კი ხელად შენიშნეს და გუბეში ისკუპეს. ღუტუნას პატარა და სათუთი ენა აეწვა. ინანა კიდევაც თავის საქციელი. გადაწყვიტა —ამის შემდეგ აღარ მოეკიდა ბაყაყისათვის პირი, მათ დაფრთხობაზე კი არასოდეს არ ამბობდა უარს, რადგანაც ყიყინი საშინლად ძაგდა. ბუნაგში, რომ მოვიდა ღუტუნა, დები და ძმები შინ არ დახვდენ. გაკვირდა, მაგრამ იფიქრა, რომ იმასავით საეშმაკოდ წავიდენ, ალბათ, ისინიც იქვე ახლოს და კვალში გამოუდგა. ცოტა გაიარა და ბელტის ძირში შეამჩნია კოთხონჯის მსხვილი ძირები. მივიდა, დასუნა, შემდეგ გაკვნიტა გემრიელი ბოლქვი და ეამა. გამოძღა და ნებივრად დაეგდო ბალახებზე, მისდა გასაკვირად, მისი და-ძმები იქ იყვნენ და თვლემდნენ.

ღუტუნა, რომ ბალახზე მიეგდო, მათ დაიხოთხოთეს და ყურები ცქვიტის, მაგრამ რაკი ძმა იყო, კვლავ მოსვენებას მიეცნენ.

ერთ საღამოს ღუტუნა თავის და-ძმებიანად გვიან მოვიდა ნადირობიდან. მთელი დღე ერთობოდენ. თითქმის სულ დააფრთხეს ახლომახლო გუბეებში აბეზარი ბაყაყები, პეპლებსაც ეთამაშებოდენ და გამოუდგენ მიწის ზედაპირზე შემთხვევით მოსულ თხუნელას. მიაგნეს ზღარბსაც, მაგრამ ზღარბი იმათზე უფრო გამბედავი აღმოჩნდა, შეძვრა თავის ბუძგში და წამოწვა მხართეძოზე. და-ძმებმა, ნამეტნავად ღუტუნამ, დიდხანს უტრიალეს, მაგრამ ვერაფერს გახდენ. დინგში ესობოდათ ბუძგი და ტკივილისაგან ჰყვიროდენ. ზღარბი კი გათამამდა, გაიჭიმა და გამოძვრა საფარიდან. და-ძმებმა დაინახეს, რომ ზღარბს მათსავით

დინგის მაგვარი დრუნჩი ჰქონდა და შავი, წვრილი და ვარსკვლავით ბრწყინვალე თვალები. ის ხელა-ნელა შეგოგდა შამბში და ქსინა დაიწყო, თითქოს საცინლად იგდებდა ლუტუნას თავისი და-ძმებით.

რომ ვერაფერს გახდენ, გამობრუნდენ და შინისკენ გამოსწიეს. დედა ჰოსულიყო, დაემტვრია ლერწმები და შვილებისათვის ახალი და მშრალი ბუნაგი გაეკეთებია.

შვილები იმ წამსვე მისცვივდენ დედას, დაუწყეს ხარბად წოვა და ჯიქანი მთლად დასცალეს. დედა კი ეგდო ძირს და კვნესოდა, ხანდახან მეჰკივლებდა, როდესაც წამოზრდილი შვილები, წოვით გატაცებულნი, ბასრ კბილებს ჩაასობდენ ფაფუკძუძუებში. ყმაწვილებს კი მოსწონდათ დედის შეკივლება და უფრო უმატებდენ კბილების ჩასობას. ბოლოს დაძღენ, ჩაეხუტენ დედას ახლად დაგებულ თბილ ლერწამ-ჭილის ჯამჯაში და ჩაიძინეს.

საამური სიო ქროდა. ტყეს ჩუმი და ამაყი გუგუნი გაჰქონდა. შორს ისმოდა ჭოტის საზარელი ყვირილი, და ცაზე ვარსკვლავები აკიაფდენ.

უცებ შამბებიდან რაღაც დიდმა სულიერმა ისკუპა და შლაგუნით გადმოეშვა. ლუტუნას დედამ დაიფქვინა, დაიყენა ჯაგარი, დააღო პირი და წინა ფეხები დაიმარჯვა. პატარებმა შიშისაგან სული განაბეს და შეეხურხლენ დედას ძუძუებში. ის სულიერი კი მოუახლოვად ბუნაგს და მას მოჰყვა რამდენიმე სხვა. დედამ უცებ სიამოვნებით დაიხროტინა და შვილებს იმედიანად მოუხოთხოთა.

შვილები რომ საფარიდან გამოვიდენ, ლუტუნამ დაინახა ვეებერთელა ეშვებიანი ტახი და მთელი ჯოგი ბურვაკების და ტახების. ლუტუნის დედა წამოდგა. გოჭებიც გაყვნენ. დიდი ტახი მიდიოდა ჯოგის წინ. ლუტუნა თავის დედით და ძმებით, შუაში იდგა, ხოლო მათ უკან მიჰყვებოდენ ბურვაკები. ჯოგის ბოლოში კი ქმინვით მოდიოდა მეორე დიდი ტახი. ლუტუნას პირველად ეშინოდა ტახების, მაგრამ შემდეგში მას კიდევაც მოსწონდა ისინი, ნამეტნავად, როდესაც წინა დიდი ტახი არღვევდა შამბებს და ეშვებით ამტვრევდა ლერწმებს. ჭაობები, რომ გაიარეს, დიდ ტყეში გავიდენ. მოეფინენ კაკლების ქვეშ და გემრიელ ნაყოფს შეექცეოდენ.

ლუტუნამ გული იჯერა კაკლით. და-ძმებთან ერთად ის უფროსებს ეთამაშებოდა.

უცებ მოწინავე ტახი შესდგა, ხარბად შეისუნთქა ჰაერი და გასწია. მას უკან გაჰყვა მთელი ჯოგი. ტყის ბოლოზე მდინარე ჩადიოდა, ხოლო მდინარის გაღმა მოჩანდა სიმინდის ყანები. ლუტუნამ თავისი პატარა დინგით იგრძნო ათქვირებული სიმინდის სუნი და კბილები აუკაწკაწდა. მოწინავე ტახმა გატოპა მდინარე, მას თან გაჰყვა მთელი ჯოგი და შეესიენ ყანას. დიდები ამტვრევდენ სიმინდის ძირებს, ბურვაკები და ლუტუნა თავისი და-ძმებით ხარბად სჭამდენ გემრიელ ნედლ ტაროებს.

გათენებამდე იტრიალეს. სიმინდის ყანას ბოლო არ უჩანდა.

დიდმა ტახმა დაიფთქვინა, ჯოგი გაინაბა და წასავლელად მოემზადენ. ისევ გატოპეს მდინარე და თხილებისა და კაკლების კნატუნით გასწიეს თავიანთი ბუნაგისკენ.

ლუტუნას ძლიერ გაუკვირდა, რომ მათი დედა აღარ დაბრუნდა [illegible] ბინაში უკვე გათენებული იყო, რომ გადაიარეს ჭაობი და [illegible] მაღალ შამბებში. მთელი [illegible] ნებით ღრუტუნებდა და ნებივრად ეფიცხებოდა შემოდგომის მზეს. გათამამებულმა ლუტუნამ შეხედა დიდ ტახს და პატარა დინგის რევა დაუწყო იღლიაში. დიდ ტახს თითქოს ესიამოვნა, გაიშოტა, ლუტუნამ კი თავი მოიცვა და მთლად გაანცდა. რომ დაიღალა, ჩაეხუტა ტახს და ჩასთვლიმა. საღამოს კი, როდესაც ვარსკვლავები აკამკამდენ ცაზე, ჯოგი ისევ გამოვიდა საზრდოს საშოვნელად.

— ამხანაგო სტეფანე! წელს კოლმეურნეობის ყანები საუკეთესოა, ნამეტნავად სიმინდის ყანები. წვიმებმა ხელი შეუწყო და ტაროებით ჩაილასტენ. თუ შემოდგომამ არ მოვაარა, სარჩოდ მარტო სიმინდი გვეყოფა და კოოპერატივსაც ჩავაბარებთ, — ეუბნებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სტუმრად ჩამოსულ მელოროეობის დარგის სტუდენტს.

ცხენები მზად იყვნენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აბგაში ჩადო პური, ხახვი, მოხარშული ხორცი, მარილი და აბგა გადაჰკიდა კვიციან ფაშატს, თანაც დაატანა:

— ტყეებიც დავათვალიეროთ, ის ადგილიც გავსინჯოთ, წისქვილი, რომ უნდა ავაგოთ და ამ თოფით კიდევ იქნებ ვინადიროთ რამე.

სტეფანემაც ჩაიდო საგზალი და ცხენს შემოაჯდა. გადაჰკრეს წკეპლები და მოქუსლეს.

შორს მოჩანდა ულრანი ტყეები. თავმჯდომარემ ხელი გაიშვირა.

— აი სწორედ იმ დიდი ტყეების





პირად არის ჩვენი სიმინდის ყანები. ორი წელიწადია, რაც გავტეხეთ, და ახოები სავსეა ბარაქით, ისეთი გოგრები დაიზარდა, რომ ერთი კაცი ვერ ასწევს თითოს. გარეული ღორიც სწორედ იქით იცის, მაგრამ კარგი ხანია, რაც მათი კვალიც აღარ მინახავს.

— რაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაგნოთ, ამხანაგო თავმჯდომარე, უნდა დავიჭიროთ კიდევაც ორი ან ერთი ცალი. ხომ იცით, პარტია და ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მეღორეობის ფართოდ გაშლას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

თავმჯდომარე გაკვირდა. ვერ გაიგო, რა კავშირი უნდა ჰქონოდა გარეულ ღორს კოლმეურნეობასთან, გარდა იმისა, რომ გარეული ღორები კოლმეურნეობის ყანებს გაოხრებდენ. ეჭვი შეიტანა და მოეჩვენა, რომ სტეფანეს უნდოდა გარეული ღორის ხორცით პირის ჩატკბარუნება. ამიტომაც იყო, რომ თავისდაუნებურად თქვა:

— ჰო, გემრიელი ხორცი აქვს.

სტეფანეს გაეცინა და უთხრა:

— ამხანაგო თავმჯდომარე, ხორცი სულაც არ მაინტერესებს. რასაკვირველია, გემრიელი ხორცი იცის გარეულმა ღორმა და ჩემი საკითხიც იმაში მდგომარეობს, რომ ეს გემრიელი ხორცი ვაჭამოთ ჩვენს მუშებს და გლეხებს.

თავმჯდომარე უფრო გაკვირდა.

როგორ შეიძლებოდა იმდენი გარეული ღორის ხორცის დამზადება, რომ მუშებსა და გლეხებს ის ფართო მოხმარებით ჰყოფნოდათ. უფრო დაინტერესდა თავმჯდომარე და ჰკითხა:

— თუ ძმა ხარ, სტეფანე, სწორედ მითხარი, ნუ მატყუებ. მე ვიცი, რომ ნადირობა ძალიან გასართობი საქმეა.

სტეფანემ გადიხარხარა.

— შენ ორი გოჭი მაინც დამაჭერინე, ამხანაგო თავმჯდომარე, და მაგის პასუხს რამდენიმე წლის შემდეგ გეტყვი, როდესაც თვით მიირთმევ გემრიელ ხორცს და მეც მოგაგონდები. თავმჯდომარემ მაინც ვერ გაიგო საქმის ვითარება და ამ საუბარში კიდევაც მიუახლოვდენ ყანებს. ჩამოხტენ. მიაბეს ცხენები და დაისვენეს. დანაყრდენ კიდეც. გააჩაღეს ცეცხლი და შეწვეს სიმინდის ტაროები. თავმჯდომარემ საზამთროც კი აღმოაჩინა და სადილი ნოყიერი და გემრიელი იყო. ნასადილევს კი ისევ შესხდენ ცხენებზე და შუდგენ ყანების დათვალიერებას. სიმინდს სიყვითლე შეჰპაროდა და მალე მოსატეხი იქნებოდა. მიუახლოვდენ მდინარეს. გაღმით მოჩანს ვეებერთელა კავლირა და თხილის ტყეები, გარეული ვაზები ბარდებივით ჩამოჰკიდებია ხეებს და დახუნძლულა კრიკინათი.

— აი ჩვენი საწისქვილე, ამხანაგო სტეფანე! ისეთი სამი დოლაბი მოვაბრუნოთ, რომ, რაც პატარა წისქვილებია, ყველანი შევაჩეროთ.

საწისქვილეს კარგი გეზი ჰქონდა. თავმჯდომარემ გადახედა სიმინდს და წამოიყვირა:

— ოჰო, ეს დათვები გვწვევიან დაუპატიჟებლად! სტეფანემ დაინახა ჩამქმეული სიმინდი და ჩამოხტა ცხენიდან.

— დათვები კი არა, ამხანაგო თავმჯდომარე, ღორები გვწვევიან ყანაში და გემოზედაც უქეიფნიათ.

ცხენიდან თავმჯდომარეც ჩამოხტა, ნახა კვალი და დამტკიცდა, რომ სიმინდს შემოჩვევოდა გარეული ღორის ჯოგი.

— ძაღლის იღბალი გქონია, სტეფანე! თუ ბურვაკები ურევია, ამაღამვე შევკოჭავ. თოფში რამდენი გაქვს ტყვია?

—გვეყოფა! — მიუგო სტეფანემ.

—მაშ, ეხლა ცხენები მოვაფაროთ, თორემ ღორები ეშმაკები არიან, სუნით მიხვდებიან და სუნთქვასაც გაიგონებენ. სტეფანემ და თავმჯდომარემ ცხენები შორს დააბეს, თვითონ კი გამოსწიეს ჩასასაფრებლად.

(დასასრული იქნება) **ბ. ჩხეიძე.**

# ხუთწლედის პატარა გმირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნავს, ტრიალებს
ბორლები ჩქარი,
გააქვთ ვრიალი
მრავალ მანქანებს,
მაზუთით სველი
რკინები შავი
მოძრაობს, ბორგავს,
კივის, გრაგანებს.
მოძრაობს ჩარხი
უზარმაზარი,
სცლის ქვაბს ორთქლისგან
და ისევ ავსებს,
შემოქმედების ტემპი,
ვით ქარი,
ედება ტემპში
გადასულ დაზგებს.
აი ბრიგადა
პიონერების:
რეზო, ოთიკო,
ეთერი, ლია,
დგანან ხუთწლედის
ჩორჩი გმირები,
დგანან დაზგებთან,,
და უხარიათ
მათ სუნთქვას
ტემპის ცეცხლი იტაცებს
და ჩქარზე ჩქარი
ღვედების რხევა,
ტემპი ედება
ბორბლებს, ჩარხს, დაზგებს,
რომ საბოლოოდ
მოსპოს გარღვევა.
პიონერებიც ჰყვებიან
ამ ტემპს
და ტემპის ცეცხლის
ალების გიზგიზს
დაზგებთან ახლა
ისინი დგანან
ჰალალ ტექნიკის
დაუფლებისთვის.
და ეცნობიან
ყოველგვარ დეტალს:
ქვაბებს, ონკანებს,
ბორბლებს თუ მილებს,
სალამი, ვაშა,
სალამი, ვაშა
მორიგ ხუთწლედის
პატარა გმირებს.

**ნოე დაფნარელი.**

# არაჩვეულებრივი სკოლა




## საკვირველი უცნობი

ჩემ სტუმარს ჭკვიანი, მაგრამ დაღლილი სახე ჰქონდა. ცოტათი აწეული მარცხენა წარბი ოდნავ ირონიულ შესახედაობას აძლევდა მას.

— ნახეთ მანქანები მოედანზე?— ვკითხე მე, რადგანაც უცებ ვერ მოვახერხე რა მეთქვა.

— აჰ, მართლა, მანქანები, რასაკვირველია, ვნახე; მე ხომ სადემონსტრაციოდ ვიყავი. და განა მარტო მოედანზე, იქით წინ მთელი დირიჟაბლი მოჰქონდათ. ანტირელიგიური მუზეუმის წინ კი დიდი, „ნამდვილი" აეროპლანი იყო! საზოგადოდ დღეს ყველგან მანქანები გვხვდებოდა. აძ ბოლო დროს მე პოლიტეხნიზმის საკითხებზე ვმუშაობ და მანქანები განსაკუთრებით მაინტერესებს. იქნება ყველაფერი, რაც განვიცადე, სწორედ ამით აიხსნება.

— რა მოხდა მითხარით!

— უწინ არავითარი ამგვარი რამ არ შემხვედრია... გუშინ, როგორც ყოველთვის, საღამოს ხუთ საათზე დავბრუნდი ბიუროდან, ვისადილე და ტახტზე წამოვწექი. შვიდის ნახევარზე ჩემი და უნდა მოსულიყო და ერთად წავსულიყავით ილუმინაციის სანახავად. ეტყობა, დას რაღაცამ ხელი შეუშალა, შეაგვიანდა, და ჩამთვლიმა. მაგრამ ამ დროს კარებზე ფრთხილი კაკუნი გაისმა და გამეღვიძა. და წამოვხტი ტახტიდან, კარი გავაღე და პალტოიან - კეპკიანი სრულიად უცნობი კაცი დავინახე

— აბა მოემზადეთ, ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდება, — მითხრა მან.

წარმოიდგინეთ, მაშინვე შევუდექი მზადებას, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ უნდა წავყოლოდი. საკვირველი იყო! სრულიად ბუნებრივად მეჩვენებოდა, რომ უცნობმა კაცმა გამომიარა. ჩავიცვი და სრულიად უცხოობ ქუჩაზე გამოვედით. სხვათაშორის, უნდა გითხრათ. მე და ჩემი და დიდ ქუჩაზე ვცხოვრობთ, მაგრამ ეს ქუჩა ორჯერ უფრო ფართე იყო ჩვენს ქუჩაზე და სახლებიც ბევრად უფრო მაღალი. სრულიადაც არ გამაკვირვა ამ გარემოებამ, თითქოს ასე უნდა ყოფილიყო. ცეცხლოვანმა ისარმა და წარწერამ „მეტრო" გვაჩვენა მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგური.

აღარ მახსოვს როგორ ჩავსხედით ტრამვაიში და გაგვაქროლა. მე ჩუმად ვაკვირდებოდი ჩემს თანამგზავრს. შუახნის კაცი იყო, დაფიქრებული, სახის გამომეტყველება კუშტი ჰქონდა. როდესაც ოთახში შემოვიდა, მაშინ სრულიად ვერ ვიცანი. ტრამვაიში კი თითქმის ნაცნობად მეჩვენა. უცებ გამახსენდა. წინა დღით სადღაც ვიყავ დაპატიჟებული და სწორედ ამ კაცს უნდა გამოევლო ჩემთვის... მხოლოდ ვერასგზით ვერ მომეგონა, ვინ იყო და რას ეძახოდენ.

ამ დროს ტრამვაიმ უკანასკნელ სადგურს მიაღწია. ჩამოვხტით და გავემართეთ სრულიად ბნელ ქუჩაში. ქალაქს გარეთ ვიყავით. შორს მოჩანდა რკინის გზის რომელიღაც განათებული სადგური. იმას ვუყურებდი და ვერ შევამჩნიე, როგორ მივადექით შიგნიდან განათებულ უზარმაზარ შენობას. სახლის [illegible] ლის ცენტრალურ [illegible] ჩერდა ჩემი თანამგზავრი, უბრალო, მაგრამ დიდებული იყო. მე, რატომღაც, ამ ფასადმა ზემოავჭალის ჰიდროელსადგურის ზაჰესი მომაგონა.

— რაც შეიძლება ნაკლები კითხვები მიეცით, ბავშვები გაცდებიან,— მითხრა თანამგზავრმა. მაშინ მომაგონდა, რომ წინადღით რაღაც ახალ სასწავლებელში მიმიწვიეს, სწორედ აქ.

ჩემმა თანამგვარმა უბიძგა მიწის საბრუნავ კარს და შევედით.

## ლურჯი ბრიგადა

..უცებ ჩვენს წინაშე ალიმართა ადამიანზე ორჯერ უმაღლესი ფიგურა, თითქოს გზაზე გადაგვეღობა. ფიგურა გაფერადებული კაშკაშებდა და ხელში პლაკატი ეჭირა:

**„გაჩერდი, არც ერთი ბიჯი არ გადადგა, სანამ ფეხს არ გაიწმენდ**

ჩვენ დიდ ნათელ ვესტიბულში ვიყავით. უცებ, ვერც კი გავიგე საიდან, შემოდიოდა რბილი სინათლე, რომელიც ჩრდილს არ აჩენდა. ამ დროს ვესტიბულში გადიოდა საქმიანი შესახედაობის ათი წლის ბავშვების მწკრივი, ხელში ყველას კასრი ეჭირა.

თხუთმეტი წელიწადია ვმასწავლებლობ და ძალიან კარგად ვიცი, როდის შეიძლება ბავშვებთან ლაპარაკი... ამიტომ თანამგზავრის გაფრთხილება ზედმეტიც იყო. მე გავაჩერე ქერა გოგონა და ვკითხე:

— ერთი მითხარი, ვინ გაკეთა ეს ძია?

— მესამე ჯგუფმა... ლურჯმა ბრიგადამ.

— თიხა რად გინდათ? — ვკითხე, რადგანაც კასრში ლურჯი თიხა დავინახე.

— ჩვენ ახლა მოდელირობა გვაქვს.

გოგონა წავიდა.

— ცოტათი დაიცადე... ამიხსენი, როგორ არის მოწყობილი, რომ თქვენი მექანიკური კაცი ხელს ანძრევს?

— რა დიდი ამბავია, — მითხრა პატარა ბიჭიკომ და კასრი ერთი ხელიდან მეორეში გადაინაცვლა. სულ უბრალო საქმეა, ბაწრებით არის მოწყობილი ქაღებზე და კარებზეა მიმაგრებული.

— შეიძლება თქვენთან წამოვიდე მოდელირობაზე? — ვკითხე მე, რადგანაც ჩემი თანამგზავრი სადღაც გაქრა და ჩემი თავის ამარა დამტოვა.

— შეიძლება, — მოკლედ მომიგო ბიჭიკომ და გაუდგა გზას თავის კასრით; მეც გავყევი.

დიდ ვრცელ ოთახში სინათლე მაღლიდან ჩამოდიოდა და მთელ ქვეყ-

ნიერებაში ცნობილი ინდუსტრიალური გიგანტის საუცხოვო ხელოვნებით გაკეთებულ მაკეტს აშუქებდა. კარგად შეზომვილ პერსპექტივაში ავარდნილიყო მაღალი, მკვიდრი შუშაბანდიანი კორპუსები, მილები და პაპიე-მაშეს ტურბინები. მილებიდან, რომ მართლა კვამლიანს დამსგავსებოდა, ამოჩრილი იყო ნაცრისფერი ბამბის ნაფლეთები. ნათლად ჩანდა, მაკეტი დამთავრებული არ იყო, რადგანაც უზარმაზარი მაგიდა ნახევრად ცარიელი იყო. ბავშვების ჯგუფები, — როგორც შევატყვე, ბრიგადები, — საძერწავ მაგიდებზე მუშაობით იყვნენ გატაცებულნი.

— მასწავლებელი სადღაა? — ვკითხე ჩუმად ბავშვებს.

— მასწავლებელი დღეს მწვანე ბრიგადასთან არის... ეხმარება ახალი კორპუსისათვის კედლის სისქის გამოანგარიშებაში.

დიდი გაჭირვებით ვიპოვე მწვანე ბრიგადა. „მწვანე“ ბრიგადელები ისეთსავე ნაცრისფერ ხალათებში იყვნენ გამოწყობილნი, როგორც ყველა დანარჩენები. ნაცრისფერხალათიანი მასწავლებელიც სულ არ ირჩეოდა ბავშვებში.

— როგორი წესი გქონიათ, ამხანაგო, ვერც კი შეგამჩნევთ კაცი, — ვუთხარი მას.

— ბავშვები მუშაობით არიან გატაცებულნი. საზოგადოდ ეშმაკობას არ ეტანებიან...

მე წინედაც შევამჩნიე. მართლაც, უცხო ადამიანი შევედი, და ბავშვებმა არავითარი ცნობის მოყვარეობა არ გამოიჩინეს, არც თვალები დააჭყიტეს, ჩურჩული და მითქმა - მოთქმა არ ატეხეს. ყველა თავის საქმეს უდგას, გატაცებული მუშაობს, სუნთქავს საქმით, ჰქმნის...

— კორპუსებში შიგნით შეიხედეთ და ჩთავარ მანქანებს დაინახავთ, მითხრა მასწავლებელმა. დეტალებს არ მივსდევთ. უფრო წარმოების პროპორციას ვაქცევთ ყურადღებას...

შევიხედე კორპუსების ფანჯრებში, იქ მართლაც სხვადასხვაგვარი მანქანა იდგა, ყველა უდგა დაკვირვებული, პატარა ფიგურები და მაკეტის გაკეთებაზე შრომობდენ. ბავშვებს ფიგურებზე შეატყობდით მათ წლოვანებას.

ფრთხილად გავაღე კარი და ტალანში გამოვედი.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ არაჩვეულებრივ სკოლაში ვიმყოფებოდი და რომ ეს სკოლა იმ პოლიტეხნიზმის პრაქტიკა იყო, რომლის შესახებაც მე ამჟამად, ვმუშაობდი. გადავწყვიტე, მეორე კარებშიც შემეხედა.



## საკვირველი სახელოსნო

ჯერ კიდევ ტალანიდან გავიგონე, როგორ იშხივლა ძრავმა და თანდათან მწყობრ გუგუნზე გადავიდა.

ზამბარიანი კარი გაიღო... ისევ ისეთივე სასიამოვნო სინათლე აშუქებდა სახელოსნოს. მაგრამ არა, ეს სრულიადაც არ იყო სახელოსნო... ეს უფრო მოზარდთა მთელი საფუტკრეების მსგავს რთულ „ორგა - ლითონის“ სადემონსტრაციო საწყობს მოგაგონებდათ. როდესაც დავაკვირდი, დავინახე, რომ ზედმეტი ბავში არ იყო სახელოსნოში, ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ვინ დაზგასთან იდგა, ვინ ხაზავდა, ვინ წიგნის კარადებთან მუშაობდა. რა საოცარი დაზგები იყო! თვალებს არ ვუჯერებდი... თითქმის მთელი უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ვსწავლობდი



ხ ა რ კ ო ვ ი ს ტ რ ა ქ ტ



წიგნებში თანამედროვე ტექნიკის მიღწევიბს. და აი ახლა თვალწინ მედგა ეს მიღწევები. ფრეზერის ახლათ-ახალი დაზგა, შემდეგ ხისა და ლითონის სარანდავი, მერე გადასატანი ელექტროხერხები, პნევმატური სატეხები და ჩაქუჩები, ელექტრობის მსწრაფლმბრუნავი ბურღები, ერთი სიტყვით, აქ იყო ახალთ - ახალი იარაღი და ახალი უნაკლო მანქანები. მანქანები ბევრი არ იყო, მაგრამ რაც იყო, ყველა ახალი, საჭირო და თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით სრულიად უნაკლო.

— რომელი ჯგუფის ხართ? — ვკითხე დაზგასთან მომუშავე ბავშებს.

— მეშვიდესი.

— რას აკეთებთ ახლა?

—შეჯიბრება გვაქვს. კარადებს ვაკეთებთ სკოლის წიგნთსაცავისათვის.

რაღაც უცნაური და სრულიად არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა ჩემ თვალწინ. როგორ ფიქრობთ. რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება ერთნახევარი მეტრის სიგრძე და ოცდაათი სანტიმეტრის სიგანე ფიცრის გარანდვა? ჩემ თვალწინ ხუთ წუთში გარანდეს ბავშებმა ამნაირი ფიცარი.

სწორეთ რომ ვთქვათ ბავშებმა კი არა, ხის დასამუშავებელმა დაზგამ გარანდა; ისე მძლავრად ისროდა ბურბუშელებს, რომ უნებურად გადავხტი...

— ნუ გეშინიათ, ამხანაგო, — მითხრა ჩემთან მდგომმა გოგონამ, ეს უწინ იყო, ქარხნებში რომ ბრმავდებოდენ, ეხლა ეს საქმე ჩვენ მოვაგვარეთ.

მართლაც, დავინახე, რომ ბურბუშელა ერთი მიმართულებით სცვიოდა და მას მტვრის მტუმბავი ვენტილიატორი ისრუტავდა. იქვე ხშირის ლურჯთვალა თხუთმეტი წლის ბიჭიკო ელექტრობურღით მუშაობდა. ბურღი ყოველ წუთს ახალ - ახალ ნახვრეტს აკეთებდა.

— ეს ჩვენი გამომგონებელია, — მითხრა იმავე გოგონამ, — იცით, რა გამოიგონა? შაბლონი სტანდარტული ნახვრეტების გასაკეთებლად.

— სულ სტანდარტით ვმუშაობთ, მაშ, თქვა სიცილით ახალგაზრდა გამომგონებელმა.

სახარატო ავტომატიურ დაზგასთან მეორე, ამავე ხნის ყმაწვილი იდგა. დაზგას ზუზუნი გაჰქონდა. ბურბუშილა ტრიალით ცვიოდა ჰაერში, ბიჭიკო დაკვირვებით უცქეროდა საჭრელს ისეთი გატაცებით, რომ ვერ გაიგონა, რას ვეკითხებოდი. მე მინდოდა გამეგო, რას აკეთებდა ის. ბოლოს, როგორც იყო, შემომხედა, კნოპს ხელი დააჭირა. ლილვმა უკლო ტრიალს და გაჩერდა. საჭრელის ქვეშ კითხვის ნიშანივით ახუჭუჭდა ბურბუშელა

—ხრახნს ვაკეთებ საათის მექანიზმისათვის.

— ნუ თუ ამისთანა ზუსტ ხელსაწყოებსაც აკეთებთ?

— ჩვენ წავიკითხეთ უმავთულო კავშირის შესახებ და შორსანახავი ხელსაწყოს გაკეთებას ვაპირებთ.

— აბა, კიდევ რას აკეთებთ?

— ვსწავლობთ მასალების ტექნოლოგიას, უმთავრესად კი ლითონისას, ჩვენი ქარხანა ხომ მეტალურგიულია. სიმკვიდრეს ბრიუნელის აპარატის საშუალებით ვსწავლობთ. ძალიან გვიყვარს ჩვენი „ბრიუნელი“.

იცით, რა ხელსაწყოა „ბრიუნელი“? მართლაც საუცხოვოა, ერთი მეტრის სიმაღლე მილში ჩააგდებთ ბურთულას. ბურთულა მილის საშუ



ორის ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალებით გაგორდება ლითონზე და მის ზედაპირზე სტოვებს კვალს; ხანდახან ეს კვალი ძლივს ჩანს მაგრამ იმის მიხედვით, თუ რამდენად ღრმად აჩნია კვალი, ატყობენ ლითონის თვისებას და მის ვარგისობას ამა თუ იმ წარმოებისათვის. აი როგორ ვნახე „ბრინელი“ ამ საოცარ სკოლაში...

„ვებრძოლოთ კოროზიას“—დავინახე პლაკატი კედელზე ლოზუნგებსა და დიაგრამებს შორის.

— რა არის კოროზია?—შევეკითხე იმავე ყმაწვილს, თითქოს არ გავეფრთხილებოდი ჩემს თანამგზავრს. ბოლოს და ბოლოს მე ხომ პედაგოგი ვარ და როგორ შემიძლია გვერდი ავუარო ამნაირი არაჩვეულებრივი სკოლის ცხოვრებას, გადავწყვიტე გულში.

— კოროზია ლითონის გაფუჭებაა, —ხალისით მითხრა ყმაწვილმა, იცით რა არის ჟანგი? ჟანგი არის კოროზიის ერთ - ერთი სახე, კოროზის ყველა სახე კი წელიწადში მთელ მსოფლიო ერთიანზე იმაზე მეტ ლითონს სჭამს, რამდენსაც, მაგალითად, გერმანიაში მოიპოვებიან. აი შეხედეთ კედელზე დიაგრამას, იქ მილიონი ტონობით არის ნაჩვენები — რამდენს აფუჭებს კოროზია.

სწორედ ამ დროს ჩრდილივით ამომიდგა გვერდში ჩემი თანამგზავრი. მივხვდი, რომ პირობა დავარღვიე და უხერხულობა ვიგრძენი... მაგრამ ამავე დროს ხომ უნდა გამეგო ყველაფერი ამ სკოლის შესახებ.

— ამას გარდა, რაც აქ ნახეთ, — დამშვიდებით მითხრა თანამგზავრმა, —უფროსი ჯგუფის ყმაწვილები დადიან თავის დედობრივ წარმოებაში.

— ეს ხომ ყველა სკოლაშია მიღებული, გასაკვირი აქ არაფერია.

— მიღებით კი მიღებულია... მაგრამ ყველგან კი არ ასრულებენ, რაც საჭიროა. ამ სკოლის ყმაწვილები იმ ცეხებში და იმ დარგში მუშაობენ, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეითვისონ სკოლაში მიღებული ცოდნა და გზადაგზა ეცნობიან ქარხნის შრომის ორგანიზაციას: ცეხის წესყობილებას, მის ტეხნიკურ ვითარებას, ძალების განაწილებას, კვალიფიკაციას, ეცნობიან ელექტრო სადგურებს, თანამედროვე წესების მიხედვით ლითონის მექანიკურად დამუშავებას, ქიმიური საშუალებით ლითონის გარდაქმნას, თქვენთვის უთუოდ საინტერესო იქნება ლითონის შესასწავლი კაბინეტის დათვალიერება. ახლა იქ სხდომა არის, მაგრამ არა უშავს, ხელს არ შევუშლით.

## პოშელიტი, სტალინიტი და ბარკალაიტი

ლითონის შესასწავლ კაბინეტში მართლაც სხდომა იყო.

— უპატაკოდ ნიგრესზე, — ცხარედ ამბობდა ერთი ყმაწვილი, — როგორ შეიძლება უნიგრესოდ, დრო საქმით გაქრება. ჩვენი მოსწავლეები მა შემდეგ წელს ელექტროფიკაციის შესწავლაა. ტყუილად ხართ უარზე, ნიგრესს გვერდს ვერ ავუხვევთ.

— ბალახანის კომბინატის შესასწავლად წასვლას აპირებენ, — მითხრა ჩუმჩუმით თანამგზავრმა.

— მერე, სახსარი სადა გაქვთ?— ველარ მოვითმინე მე.

— საშუალებას დედობრივი წამოწყება აძლევს.

„კარგი იყო სხვა ფაბრიკებს და ქარხნებსაც ჰქონოდათ ეს ჩვეულება“. — გავიფიქრე გულში, მომაგონდა ჩვენი სკოლების ვარამი სახსრების შესახებ.

„გაუფრთხილდით ხეს“ — დავინახე კედელზე პლაკატი; ქვევით წვრილად მიწერილი იყო:

„ხისაგან კეთდება: შაქარი, აბრეშუმი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, მედიკამენტი, ქაღალდი, კანიფოლი“...

კედლის დაყოლებით მაგიდებზე დალაგებული იყო სხვადასხვა ლითონის ნიმუშები, ეწყო რკინის ნაჭრები, ფოლადის, თუჯის და ცალკე თაროზე იდვა გაჭრილი რელსი, ისეთი ფოლადისაგან გაკეთებული, რომელიც არ ჟანგდება. ვნახე აგრეთვე გერმანული შენადნობი „ვიდია“ და იქავე გვერდით ეწყო ჩვენი: პოშელტი, სტალინიტი და მოწაფეების ხელით გაკეთებული საჭრელი. განსაკუთრებით დამაინტერესა ბარკალაიტმა, ხის ნახერხისაგან წნეხით დაწურულმა მასალამ, რომელსაც სიმაგრით ალუმინის მაგიერობა შეუძლია გასწიოს.




კაბინეტიდან კინო - აუდიტორიაში გავედით. იქ ორთქლის მანქანების ისტორიას აჩვენებდნენ.

— ბავშები სადღა ისვენებენ და როგორ არის მოწყობილი დასვენების გატარება? — ვკითხე ჩემს თანამგზავრს, გამახსენდა ამ მხრით ჩვენი სკოლების მოუწყობლობა.

— წიგნთსაცავს გარდა, არის კიდევ ერთი დიდი დარბაზი. გავიდეთ.

დარბაზი მართლაც დიდი იყო, ორ მაგსინათლიანი. ჩვენი შესვლისას ბავშები ბურთს თამაშობდნენ. ისიც იყო, კიდევ უნდა მეკითხა ჩემი თანამგზავრისათვის, როგორ აქვს განაწილებული გასართობის საათები, რომ უცებ... ჩემმა თანამგზავრმა მტაცა ხელი მხარში.

— ილუმინაციაზე რას ფიქრობ? —მკითხა მან წვრილი ხმით. მინდოდა მეპასუხა, რომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სკოლას. ჯერ ვერ მოვასწარი ყველა კაბინეტის კარგად დათვალიერება, ბავშებთანაც ცოტა ვილაპარაკე...

თვალებზე როგორღაც ნისლი ამეფარა, შემდეგ კი დავინახე ჩემს საკუთარ ოთახში წითელი აბაჟური და ბოლოს ჩემი და, რომელიც თავზე დამდგომოდა დახრილი და მეუბნებოდა.

— რა მოგივიდა? ილუმინაციაზე არ მოდიხარ?

ახლა კი მივხდი, რომ ჩამძინებოდა. მე მაშინვე ვუამბე ჩემი სიზმარი დას და ორივემ გადავწყვიტეთ, რომ ძალიან ძვირად ხდება ხოლმე ამნაირი გრძელი და მწყობრი სიზმარი და ამიტომ თქვენც გიამბეთ.

# მტვრიან ქუჩიდან დამკვრელ დაზგამდე

მე ეს შეხვედრაც იმ წუთს მაგონებს,
ჩქარ მატარებელს ელოდენ მაშინ,
შენ ჩამოჰყევი მტვრიან ვაგონებს
გზებგაყინულ და თოვლიან დარში.
როს ორთქლმავალი დადვა ზრიალით.
ჩამოხტი ბავში ჩვრების ამარა.
ქარი დაქროდა გულბრაზიანი
და მიწიოდა სივრცეს მთა-ბარად.
ირგვლივ მოჩანდა სივრცე ქალაქის,
და პატარას კი გული გირჩევდა...
ახვა გზა არც იყო—ქუჩურ მარაგით
უნდა ვეცხოვრა ქუჩის ბიჭებთან.
...მე, კი წინ მივალ, ცხოვრებას მივ-
დევ,
დაკარგულ გზებზე უკვე ვინ ჩივა...
მე მინდა დღეში ტემპივით ვიდგე,
კომკავშირელი ქარხნის ბიჭი ვარ.
და როცა, გუშინ საღამოისას,
მოაწვენ ფანჯრებს ღამის ბინდები,
ღაზგაშ იბრძოლა, ცეცხლი მოისხა,
ვილაც პატარას სწვრთნიდენ ბიჭები.
დილისას შეგხვდი, თურმე შენ იყავ,
ძალა რომ შევწევს ზღაპრულ-მდეუ-
რი,
ტემპში ვაჟკაცობ, ტემპი ვერ გრიყავს
ღღეს აედევნე რკინად ქცეული.
მაშინ სხვა იყო... ახლა დარია,
ფოლადის ბიჭი ტემპს ცეცხლს ში-
აწვდი.
მოსულხარ ჩვენთან და გიხარია,
რომ ხარ ეპოქის ენტუზიასტი.
და გაქრა ისე შენი წარსული,
ვით მოგონება, ნისლებთ ნახური,
რაზმელთა შორის ჩადექ დასრულდი
ვინმე, პატარა სადგურს ნახული,
ხვალის სიხარულით გაიზიარებ,
დიად მომავლის დღეებს ამზადებ,
აი მანძილი, რომ გაიარე:
მტვერიან ქუჩიდან — დამკვრელ და-
ზგამდე.
და ეს შეხვედრაც იმ წუთს მაგონებს,
ჩქარ მატარებელს ელოდენ მაშინ,
შენ ჩამოჰყევი მტვრიან ვაგონებს
გზებგაყინულ და თოვლიან დარში.

**დავ. შამათავა**

— სიზმარი მართლაც მშვენიერია, —ვუთხარი მე, — მაგრამ რა არის საკვირველი. თქვენ ყველანი ისე ხართ გატაცებული ამ ბოლო დროს სკოლის პოლიტექნიზაციით, რომ თქვენმა გონებამ უკვე შექმნა ზუსტი წარმოდგენა მომავალი პოლიტექნიკური სკოლის შესახებ და ეს წარმოდგენა გადაიქცა სიზმრად.

— გამოიყენებთ ჩემს სიზმარს?

— უსათუოდ გაძლევთ სიტყვას, რომ გამოვიყენებ. მოთხრობას დავწერ ვუთხარი მე.

და, აი, ავასრულე კიდევაც ჩემი დაპირება.

**მ. ოგნევი**

# ორი ძალა

(თარგმანი უკრაინულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანდარმებმა ყველაფერი გადმოაყირავეს დერეფანში და ოთახში; ჩხრეკდნენ ყუთებს, უჯრებს კუთხეებს, იატაკს, ბალიშებს. ათვალიერებდენ ღუმელს. იქაურობა ბაზარს ჩამოჰგავდა. ოთახში გაბაწრული იდგა 20 წლის მაღალი ახალგაზრდა გასისხლიანებული პირისახით.

დერეფნიდან ოთახის კარს გამწარებით არახუნებდა მისი დედა და ჰკიოდა:

— გაუშვით, გაანთავისუფლეთ, დამნაშავე არაა, გაუშვით გაათავისუფლეთ!!.

— გვითხარი, სად არის წიგნები, და ქაღალდები, ვინ იყო შენთან კიდევ? — ეკითხებოდენ ჟანდარმები ახალგაზრდას, ახალგაზრდა კაცი კი ხმას არ იღებდა და ზევიდან დაჰყურებდა ჟანდარმებს.

— იტყვი თუა არა, შე ძაღლის ლეკვო? ჟანდარმმა ჩექმა მიარტყა მას ფერდში.

— არავითარი წიგნი, არავითარი ქაღალდი არ მაქვს. ჩემთან არავინ ყოფილა, — უპასუხა ბოლოს ახალგაზრდამ. მეორე ჟანდარმმა სილა გააწნა, მას სახეში.

— შე წვიროიანო, კომუნისტი ხარ, განა. სთქვი ყველაფერი, თორემ სულს ამოგართმევ.

— „ბუნტი" გიიდა მოაწყო? ხალხს აჯანყებ" აჰ, შე ძაღლო!!

და კვლავ გაარტყა ზურგში.

ვერც დერეფანში, ვერც თავანზე და ვერც ოთახში ჟანდარმებმა ვერაფერი ნახეს. შებოჭვილი ყმაწვილი კაცი წაიყვანეს.

მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდა დედა და ტიროდა.

— რა უყავით ჩემს შვილს, რატომ სცემეთ ასე? სულ მთლად გასისხლიანებულია... შვილო, შვილო!

— შე ბებერო ქოფაკო, გააჩერებ თუ არა ენას? ფრთხილად თორემ შენ შვილთან ერთად წაგათრევთ სტანისლავში.

— ოხ, ოხ. რა დაგიშავეთ, სად მიგყავთ, სად, ჩემი შვილი ვისთან მტოვებთ მე? ჩემო უბედურო შვილო!..

— მოგვშორდები თუ არა, შექოფაკო ძაღლო? „ქოფაკი ძაღლი" კი მათ არ შორდებოდა. ის სათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ფართოდ გაღებული თვალებით და მოქცეული პირისახით. თვალებიდან სცვიოდა ბზარი, წყევლა, კრულვა და შურის ძიება. ჟანდარმი გაიქიდა დედაკაცს.

— მომეცი ხელი, ჩქარა მომეცი ხელი, გაგბაწრავ. — უყვიროდა ის.

ქალი კივილ - კივილით გაიქცა უკან. ფეხები ჭაობში ეფლებოდა. ახალგაზრდა კაცმა მოიხედა და დედის დანახვაზე ცრემლები გადმოუცვივდა თვალებიდან. ადგილობრივ კანცელარიაში მივიდენ. დედა ჩამოჯდა კიბის საფეხურზე და კანცელარიაში შემსვლელთ ეხვეწებოდა:

— კეთილო ადამიანო, შემიტყვე რას უშვებიან ჩემს შვილს; ნუ მისცემთ მათ მისი გალახვის ნებას. მოქალაქენი კი მიდიოდნენ დაღვრემილნი და ხმას არ იღებდნენ.

დედა თავს ახეთქებდა კედლებს, მაღლა იშვერდა ხელებს, გაშტერებული თვალებით მისჩერებოდა ტყვიის ფერ ღრუბელს და არაადამიანური ხმით ითხოვდა შველას. შემდეგ ვერ მოითმინა, მოსწყდა ადგილიდან, მივარდა ფანჯარას და დაიწყო ოთახ



ნიგრესი — ნიჟეგოროდსკის ელექტრო ცენტრალი აწვდის ელექტროენერგიას მთელი ნიჟეგოროდსკის მხარის მრეწველობებს და ხოფ. მეურნეობას.



ამიერ-კავკასიის მთავრობის სახლი ტფილისში

ში ცქერა. შვილის დანახვაზე ისევ ატირდა.

— შვილო, შვილო!..

ვიღაც გამოვიდა და უთხრა:

— შენ აქ ალიაქოთს ნუ სტეხ. აქ სახელმწიფო დაწესებულებაა და ყვირილი არ შეიძლება.

— აბა რა ვქნა, სად წავიდე. ჩემი შვილი გათოკეს, როგორც ავაზაკი, და სცემეს. რატომ? რისთვის? რა დააშავა?!

— დედაკაცო, ნუ გაკერპდები. მათია ძალა - უფლება და მათია სამართალიც. შენ ბატონებთან სამართალს ნუ ეძებ. ყვიროილით კი ვერაფერს გახდები. არავინ მოგეხმარება. მაგ კივილით ძაღლებს უფრო გააცოფებ და შენს შვილს კიდევ უფრო დაუწყებენ კბენას.

დედა გაჩუმდა, მივიდა პირდაპირ მდებარე სკოლის შენობასთან და მის კედელს მიეკრა. დაიმალა ყველაზე შორეულ კუთხეში, მტირალი თვალებით მიაჩერდა კანცელარიის ფანჯრებს და ციებიანი ავადმყოფივით დაიწყო ძიგძიგი, თრთოლვა. თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: „მეტს ველარ ვნახავ, ვერა, ჩემს შვილს“!

ფეხქვეშ თითქოს მიწა გაუსკდა და ეგონა — საცაა ამ უფსკრულში გადავარდებოდა. სკოლიდან გამოდიოდნენ ბავშები და, დაინახეს რა ატირებული ქალი, მოულოდნელად მასთან შეჩერდნენ.

—იმისი შვილი ვაშილი დაიჭილეს ჟანდალმებმა, — ამბობდა პატარა ბავში, რომელიც შუა ქუჩაში იდგა და მიწას სტკეპნიდა.

— დაიჭირეს? — კითხულობდნენ შეშინებული მოწაფეები და გაფითრებულნი უყურებდნენ ხან მტირალ ქალს, ხან კაცელარიის კარებს.

— წასულ კვირას იოკიმე დააპატიმრეს, გაიხსენა მოწაფე ქალმა მოლრუბლული სახით. ბავშები იდგნენ კისერ წამოწეულნი და რაღაცას ელოდენ.

მოვიდა ჯაგვა. პატარა ცხენები ძლივ - ძლივობით მოათრევდნენ მას ატალახებულ გზაზე. გამხდარი, წითელულვაშა, ჩალისქუდიანი მეეტლე აგინებდა „პანების“მართველობას და ჟანდარმებს, რომლებმაც უბრძანეს მას ასეთ ცუდ ამინდში მუშაობა.

გზაზე უხმოდ მიმოდიოდენ გამვლელ-გამომვლელნი და სიბრალულით მისჩერებოდნენ კედელთან მიმჯდარ დედას. მათ უკვე იცოდენ რაშიაც იყო საქმე. გული შურისძიებითა და ზიზღით ევსებოდათ; როცა გასცილდებოდნენ კანცელარიას ასიოდე ნაბიჯით, იხედებოდენ უკან და მუშტებმოკუმშულნი იმუქრებოდენ:

— დაიცადეთ, დაიცადეთ, „პანებიო“ ცაღლებო! გეწვევათ თქვენც შავი ქირი და დაგიდგებათ უკანასკნელი დღეები.

კანცელარიიდან გამოიყვანეს ყმაწვილი კაცი სისხლი მობანილი ჰქონდა. სახე გალურჯებოდა და დასიებოდა. დასდენ ჯაგვაზე.

ჟანდარმმა ხელი ჰკრა მეეტლეს და მიაძახა:

— გასწი!

მეეტლემ გააფურთხა, მოსწია სადავეები, დაატრიალა მათრახი, და ცხენები დაიძრენ.

— მშვიდობით, დედა, არ იდარდო, მე ისევ დავბრუნდები თქვენთან, არამგონია დავიღუპო.

დედამ ხელები პირისახეზე მიიფარა და ხმა-მაღლა აქვითინდა.

— შვილო, შვილო, სახლიდან ვერც თეთრეული გაგატანე და ვერც პურის ნატეხი. იქ არ მოგასვენებენ, შვილო, გაწვალებენ და გამოჩინდება. მზე დაბნელებია და მიწა გასკდომია მათ! სად მიგყავთ ჩემი შვილი, სადა? გაწყდა თქვენი კვალი და სახელი!

— გასწი ჩქარა! — უყვირა ჟანდარმმა მეეტლეს. მეეტლე გულმოდგინედ სცემდა ცხენებს, ცხენები კი ძლივ - ძლივობით მიიწევდენ წინ. დედა მიეყრდნო ბოძს და ტირილს განაგრძობდა.

მახლობელ ეზოში ჭაღარა ბაბუა იდგა. ის ჩუმად უყურებდა ყველა ამას და თავს აქნევდა. საბრალო დედა კვლავ ცრემლებს ჰღვრიდა. ბაბუამ უთხრა:

— რა გატირებს, ქალო? შენ გგონია ამით გაათაოიობა? სხვებსაც დაიჭერენ.

— ვინც უნდათ ის დაიჭირონ, ჩემს შვილს კი ხელს ნუ ახლებენ. რა უნდა ვქნა მარტოდ - მარტომ, სად წავიდე ეხლა?

— ტირილით რას უშველი, — განაგრძობდა ბაბუა, — ჩვენს მიწაზე ერთი - მეორეს დაეჯახა ორი ძალა: **პანებისა და ხლოპცების.** პანები ურტყამენ ღარიბებს, რომლებიც ფოლადდებიან და კლდესავით ხდებიან; როცა ეს კლდემოშვავდება, ამ ბატონებს ყველას გასრესს და მაშინ არავინ იტირებს თავის შვილზე..:

შორს კი ჟანდარმი ისევ უყვიროდა მეეტლეს „გასწი“ და პატიმარს სადღაც მიათრევდა.

**მიშა კეკელიძე.**



კასპის სტალინის სახელობის ქარხანა, მუშაობს საუკეთესო დამკვრელი სალამაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიბრძოლოთ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ

## ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბავშვთა შორის

ძვირფასო ბავშვებო! ალბათ თქვენ ყველამ წაიკითხეთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილება დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ. თქვენ ალბათ კიდეც დაამუშავეთ აღნიშნული საკითხი, თუ თქვენ, პიონერებმა, როგორ უნდა გაატაროთ ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. ისტორიული დადგენილება. მე მინდა აღნიშნულ საკითხზე გელაპარაკოთ თქვენ. აქ ჩვენს წინაშე იშლება მთელი რიგი საკითხები. პირველი საკითხი — როგორ ვიბრძოლოთ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ. თქვენს დადგენილებებშია: „ვიბრძოლებთ ბავშვების დაგვიანების და გაკვეთილების გაცდენის წინააღმდეგ“. ეს სრული ჭეშმარიტებაა. რადგან თქვენ პიონერები ხართ, თქვენ ვალდებული ხართ ასე მოიქცეთ. მაგრამ როგორ? პირველყოვლისა — უნდა დავაჯეროთ ბავშვები, რომ ეს დიდი მნიშვნელობის საქმეა.

თქვენ შეგიძლიათ უამბოთ ბავშვებს, თუ როგორ მუშაობდა **ლენინი**, რომ ის ყოველთვის, რაგინდ დაღლილი ყოფილიყო, მიდიოდა კრებაზე თავისი აზრის გამოსათქმელად. 1918 წელს, როდესაც **ლენინი** დაჭრეს — მას ძლიერ აღელვებდა ის გარემოება, რომ არ ჰქონდა საშვალება დასწრებოდა სახკომსაბჭოს სხდომებს, იქ კი დღის წესრიგში იდგა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. როგორც კი დაეტყო ცოტაოდენი გამოკეთება, ის ეხვეწებოდა ექიმებს, რომ რაც შეიძლება ჩქარა მიეცათ მისთვის წამოდგომის უფლება და მით საშვალება მისცემოდა დასწრებოდა სხდომებს. ბოლოს მას მისცეს ამის უფლება. ნაადრევმა წამოდგომამ ძლიერ ცუდად იმოქმედა გულზე ის ძალზე ფერმკრთალი შეიქნა. სახკომსაბჭოში მისმა მისვლამ ყველა ამხანაგი აღელვა, და გადაჭარბებული ენერგიით შეუდგენ მუშაობას.

**ლენინი** არასდროს არ იგვიანებდა სახკომსაბჭოს სხდომებზე. ჩვეულებრივად სახკომსაბჭოს სხდომა სრულ 6 საათზე იწყებოდა. იყო შემთხვევები, — როგორც კი დარეკავს 6 საათს, ვლადიმერ ილიას-ძე აიღებს ტელეფონის მილს და ურეკავს მდივანს — ამხ. ფოტიევას: „მოვიდა თუ არა ვინმე? არავინ? როგორც კი მოვიდეს ორი, მაშინვე დამირეკეთ“. და როდესაც ფოტიევა დაურეკავს, რომ მოვიდა ორი თუ სამი კაცი, ის უცბად მოემზადება, წაიღებს ქაღალდს და ჩქარი ნაბიჯებით მიდის სახკომსაბჭოში. ყველას გამოცხადებას არ უცდის. თვითონ კი დანიშნული დროისათვის ადგილზეა. ჩქარა ყველამ დაიწყო სახკომსაბჭოში დაუგვიანებლად გამოცხადება.

თქვენ უამბობთ ამას ყველა მოწაფეს და ამით არა მარტო თქვენ, ახალგაზრდა ლენინელები, არამედ ყველა მოწაფე მოინდომებს მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა ლენინი. თქვენი თხრობის დროს სვეტლანას გაუნათდება სახე, ვლადელენას კი თვალები გაუბრწყინდება.

მაგრამ შეიძლება ასე მოხდეს: გაივლის რამოდენიმე დღე, და ვლადლენა კვლავ დაიწყებს დაგვიანებას, სერიოჟა, მაშა და სვეტლანა—გაკვეთილების გაცდენას. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? შევიტანოთ ისინი შავ დაფაზე? გამოვუცხადოთ მათ სასტიკი საყვედური? დეე, იცოდენ, როგორ უნდა დაგვიანება! აღვნიშნეთ, საყვედურიც გამოუცხადეთ. ბავშვებს ეს ძლიერ საწყენად დაურჩათ, მაგრამ მაინც იგვიანებენ, გაკვეთილებს აცდენენ. რა უნდა ვქნათ? „გამოვრიცხოთ პიონერობიდან“? — შემოაქვთ ზოგიერთებს ასეთი წინადადება.

ბავშვებო, ეს არ იქნება საკითხისადმი სწორი მიდგომა, ეს იქნება ბიუროკრატიული მიდგომა. თქვენ გაგიგონიათ, ალბათ, თუ როგორ იბრძოდა ლენინი ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; ლენინის აზრით, ბიუროკრატიზმი საქმის დამღუპველია, ეს უდიდესი ბოროტებაა. სიტყვა ბიუროკრატიზმი წარმოდგება ფრანგული სიტყვა „ბიურო“-საგან, რომელიც ნიშნავს კანტორას, კანცელარიას. ბიუროკრატიზმი — ეს საქმისადმი ისეთი მიდგომაა, როდესაც არ შედიან საქმის ვითარებაში, არ არიან საქმით დაინტერესებული და ყურადღებას აქცევენ მარტოკა ფორმას, ქაღალდს. საქმისადმი უგულო, ფორმალურ მიდგომას ბიუროკრატიზმი ეწოდება. დავუშვათ, რომ ძლიერ საჭიროა ავადმყოფთან ექიმის გაგზავნა. აგზავნიან ცნობას იმ დაწესებულებაში, რომლისგანაც ეს საქმე არის დამოკიდებული. იქ კი გამოსავლელი დღეა. მეორე დღეს გადახედავს ვინმე ცნობას და იტყვის, რომ ექიმის მოთხოვნის საჭიროება ხელმეორედ უნდა იქნას დადასტურებული რომელიმე სხვა დაწესებულების მიერ. ამრიგად, ექიმის მოთხოვნის ქაღალდი დადის დაწესებულებიდან დაწესებულებაში, ავადმყოფი კი წევს დაუხმარებლად, როდესაც ძალზე საჭიროა ავადმყოფს დროზე აღმოეჩინოს შესაფერისი საექიმო დახმარება.



ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია.

თქვენ ალბათ გაგაკვირვებთ, თუ რისთვის ვლაპარაკობ მე ყოველივე ამას და მოგითხრობთ ბიუროკრატიზმზე. მე ამას მისთვის ვლაპარაკობ, რომ პიონერთა შორისაც შეხვდებით ბიუროკრატიზმის ელემენტებს, ეს კი არაფრად არ ვარგა. ჩაიხედეთ თქვენს მუშაობაში, და თქვენ დაინახავთ, რომ ხშირად საქმეს თქვენც ფორმალურად და ბიუროკრატიულად უდგებით.

ერთი პიონერთაგანი მწერდა, რომ ის ჩასწერეს უმიზეზოდ გამცდენთა რიცხვში და ამისათვის მას ტანისამოსიც კი არ მისცეს, როდესაც სხვები დააკმაყოფილეს. ის სკოლიდან



საბჭოთა თურქმენისტანის ბავშვები სკოლაში.



ტფილისის რკინის გზის სკოლის მოწაფეები სწავლობენ ზეინკლობას.

ხუთი კილომეტრითაა დაშორებული და ამასთან მდინარეზე უნდა გადაიდეს. გაზაფხულზე მდინარე ადიდდა და გადალახა ნაპირები. ყმაწვილმა ვერ მოახერხა სკოლაში მისვლა და ამისათვის ის გაკვეთილების უმიზეზოდ გამცდენთა სიაში შეიტანეს.

როგორ უნდა მოვიქცეთ რომ დაგვიანებებისა და დღეების გაცდენებისადმი არ გამოგვივიდეს ბიუროკრატიული მიდგომა? ყოველი შემთხვევის დროს აუცილებლად გამორკვეულ უნდა იქნას დაგვიანების და გაცდენის მიზეზი. შეიძლება მოწაფის დედა ფიქრობს, რომ მისი ქალიშვილისათვის მაინც და მაინც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს სკოლაში სიარული, უმჯობესია შინ იყოს და ხელსაქმობდეს. ან და რომელიმე დიასახლისი დაიქირავებს გოგოს ძიძად და მას სკოლაში არ უშვებს: „ის მე დავიქირავე იმისათვის კი არა, რომ სკოლაში ერბინა, არამედ იმისათვის, რომ ბავშვებს მოუაროს", ასეთი შეხედულების მქონე მშობლებს და დიასახლისებს სათანადო პასუხი უნდა მოეთხოვოს. ჩვენ გატარებული გვაქვს საყოველთაო - სავალდებულო სწავლება, და ისინი, ვინც არ უშვებს ბავშვებს სკოლაში, საჭიროა დასჯარიმებულ იქნან. **პიონერები უნდა ცდილობდენ ამის განხორციელებას.**

შეიძლება: მოწაფე არ დადის სკოლაში რაიმე **ხაპატიო მიზეზის გამო.** დედა სამუშაოდ მიდის და, რომ ბავშვები უპატრონოდ არ [illegible] ქიროა ვინმე დარჩეს შინ. [illegible] თხვევებში საჭიროა შესაფერისი დახმარების აღმოჩენა ბავშვების ბაგაში ან საბავშო ბაღში მოთავსებით, ან და საზოგადოებამ „ბავშთა მეგობარი" ან ა.ლ.კ.კ. ორგანიზაციამ უნდა აღმოუჩინოს სათანადო დახმარება.

შეიძლება მიზეზი ვეძიოთ **თვითონ მოწაფეში.** რომელიმე მოწაფე სახლიდან თავის დროზე გამოვა, მაგრამ გზაში ჩაებმება ჩხუბში, ან რაიმეთი დაინტერესდება, მაგალითად, სამგლოვიარო პროცესიით, და სკოლაში აგვიანდება.

ასეთ შემთხვევებში საჭიროა **უფრო ბეჯითი და ახლობელი ამხანაგი მიეშველოს დასახმარებლად: სკოლაში წასვლისას გაუაროს ასეთ ამხანაგს, მასთან ერთად წავიდეს სკოლაში.**

უმიზეზო გაცდენის და დაგვიანების სკოლაში აღმოფხვრით თქვენ შეგიძლიათ იბრძოლოთ სხვების ასეთივე გაცდენებისა და დაგვიანებების წინააღმდეგ, შეგიძლიათ იბრძოლოთ გაცდენების წინააღმდეგ იმ ფაბრიკაში, რომელზედაც თქვენი სკოლაა მიმაგრებული

ბავშვებო, იმსჯელეთ აღნიშნულ საკითხზე და მისწერეთ თქვენი შეხედულება ჟურნალ „პიონერი"-ს რედაქციას.

**ნორჩო ლენინელებო! იყავით მზად მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში!** **ნ. კ. კრუპსკაია.**

# ძორაგეტი

## ოთხი წლის წინად

ტფილისსა და ერევანს შორის, კარაკლისის რაიონის მომხიბლავ მთიან მიდამოებში არის სადგური **კალაგერანი.** ოთხი წლის წინად მივიდენ კალაგერანში ვიღაც უცნობნი და გიჟმაჟ მდინარე ძორაგეტს მიაშურეს. ესენი გამომკვლეველნი იყვნენ.

სახელდახელოდ გააკეთეს რამდენიმე ბარაკი, და გაჩაღდა მუშაობა. ახმაურდა პნევმატიური ბურღები, მიწის სიღრმეში რომ მიიჩქაროდენ, შენიველირი გაჰყურებდა შორეულ მთებს. ახმაურდა რკინის ლენტი.

გადაწყდა ჰიდრო - ელსადგურის აგება. ძორაგეტი ნელა მოდის მთებიდან, იმდენად ნელა, რომ დელტაც კი აქვს, მაგრამ რაკი კარაკლისის ხეობას მოაღწევს, მისი კალაპოტი ვიწროვდება, — სულ 15-20 მეტრი გაში თუ ექნება, — და მდინარე ერთბაშად იცვლება — ის გაავეფთრებული



ძორაგესის წყალსადენი ტონელის ბეტონს უკეთებენ, სიგრძე 2, 5კილომეტრია.

ებრძვის კლდოვან ნაპირებს, შლეთავს და ბორგავს.

ამის გამო მდინარის დონე ხეობის თავში და ხეობიდან გამოსვლისას ერთნაირი როდია, რაც აუცილებელია ჰიდროელსადგურის ასაგებად.

რამდენიმე ასი კაცი ჩამოვიდა სადგურის ასაშენებლად მოიტანეს სხვადასხვა მასალა.

მიდამოებს აყრუებდა კლდეების აფეთქების ხმა. შეუდგენ გვირაბის თხრას, აგებდენ მუშების საცხოვრებელ ბინებს.

მალე გამოირკვა, რომ რკინის გზის პატარა სადგურს კალაგერანს არ შეუძლია „ძორაჰესმშენი"-ს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. სასწრაფოდ გააფართოეს ის, მიუმატეს 600 მეტრი რკინის გზა, ააშენეს და ძორაჰესმშენს გადასცეს ორი დიდი პაკჰაუზი.

## მშენებლობაზე

ძორაჰესის მარცხენა ნაპირი. აქ მდინარეს უფრო ფართო კალაპოტი აქვს და შედარებით ნელია.

ნაპირებს დაკიდული ხიდი აერთებს. დროებითია ეს ხიდი, მაგრამ უკვე ოთხი წელია რაც ძორაჰესმშენს ემსახურება.

აი მუშათა პატარა სახლები. აქვეა ამბულატორია, კლუბ - სამკითხველო, საბავშო ბაღი, სპორტმოედანი...

მთაზე — კონტორა, ძირს, რკინის გზის ლიანდაგთან კი — საგენერატორო სადგური. მთაში, რომელიც თავს დასდგომია საგენერატორო სადგურს, შავად გამოიყურება გვირაბის გამოსავალი. აქედან დაექანება შებორკილი ძორაჰეტი ცილინდრულ მილში და აბრუნებს დინამოს ტურბინებს.

დღისით და ღამით მუშაობენ. ელექტროს შუქზე აკეთებენ ტინობისთვის ფორმებს, იზრდება კედლები...

მხოლოდ ერთი წლის წინად დაიწყო შენება, ახლა კი უკვე მზად არის ელსადგურის მთავარი შენობა.

აი ვიწრო ბილიკი, რომელიც მიიკლაკნება მთაში წყლიდან 80 — 100 მეტრის სიმაღლეზე. რამდენიმე კილომეტრზეა ეს ბილიკი და ღამით ელექტრობით გაშუქებული, მომხიბლავი სანახვია. მაგრამ რამდენიმე ვაივაგლახი იყო საჭირო, რომ ეს ბილიკი გაეყვანათ, რამდენ ადგილს აფეთქეს კლდე!

ამ ბილიკით შეიძლება სამუშაოთა მეორე უბანზე მოხვედრა, გზაზეა გვირაბის ორი ფანჯარა — აქედან აწვდიან ძორაჰესს საამშენებლო მასალას. გვირაბი მეორე უბანში იწყება; აქვეა წლასანახი აუზი, რომელსაც რამდენიმე მეტრის სისქე რკინა ტინობის კედლები აქვს, წინ კი — კამხალი. მდინარე წყლის რაოდენობა ყოველთვის თანაბარი როდია, და აუზის დანიშნულებაა წყლის რაოდენობის რეგულირება.

## გვირაბი

მარცხენა ნაპირის კლდეებში გადის გვირაბი, სიგრძით 242 კილომეტრი. მისი გათხრა, უფრო სწორი კი იქნება ვთქვათ აფეთქება, 1927 წელს დაიწყეს ერთსა და იმავე დროს ექვს ადგილას.

ძნელი იყო გვირაბის გათხრა. წინ მიდიოდა მიწის მთხრელ - ამფეთქებელთა ბრიგადა. მათი სამუშაო ძალა ძნელი და სახიფათოა, მაგრამ შეუპოვარი ადამიანები დღითი-დღე ღრღნიდენ მთის გულს. სხვადასხვა მხრიდან მიისწრაფოდენ ერთმანეთისკენ გვირაბის გამყვან მუშათა ბრიგადები, და ერთი წლის შემდეგ გვირაბი უკვე გათხრილი იყო. მიწის მთხრელ — ამფეთქებელთა ბრიგადას მიჰყვებოდა გამმაგრებელთა ბრიგადა, რომელიც 30—40 სანტიმეტრის სისქე ძელებით ამაგრებდა გვირაბის კედლებს. შემდეგ გვირაბს ცილინდრული ფორმა მისცეს, მერე ტინობი „ჩააცვეს", ტინობზე არმატურის ბადე გააკეთეს და ამ ბადეს მიუყენეს სპეციალური მანქანები — „ზარბაზნები". გვირაბის შესავალთან დღე - ღამ ხმაურობდეს კომპრესორები, რომლებიც ჭირხვნეს ჰაერს. შეკუმშული ჰაერი გარბის ჰილებში, შედის „ზარბაზნებში", და „ზარბაზანი" საშინელი ძალით დააფრქვევს გვირაბის არმატურაზე სილის, ცემენტის და წყლის ნარევს.



აირწინაღის სახელოსნოში მომუშავე ხარატი

## გვირაბის გამოცდა

გვირაბი მზადაა. 3 სექტემბრიდან დაიწყო მისი გამოცდა. პირველად ლითონის განსაკუთრებული საცობებით მოაწყვეს გვირაბის 1 ნაწილის - 350 მეტრის — იზოლიაცია. აქ დატუმბვენ წყალს, რომლის წნევას 150 ატმოსფერომდე აიყვანენ.

15 დღის შემდეგ გამოირკვა გამოცდის შედეგი. გამოცდაში ტილზიმეტრი თამაშობს მთავარ როლს.

ტილზიმეტრი ლითონის მილია და ორივე ბოლო შეკრული აქვს. ბოლოებზე არის ორის ჯვარედი — წნევის სიბრტყეები ჯვარტებს შორის არის 60 მილიმეტრის სიგრძის სიმი. სიმის მახლობლად ელექტრომაგნეტია. მაგნეტში გაშვებული დენი უცილის სიმს ნორმალურ მდგომარეობას, დენის შეწყვეტა იწვევს სიმის თრთოლვას, ბგერას. სიმის ბგერების სიხშირე ჯვარტების დაძაბვაზეა დამოკიდებული.

რამდენიმე ასეთი ტილზიმეტრია ტინობში ჩატარებული. ტილზიმეტრი გვიჩვენებს კედლების დაძაბულობის ხარისხს.

**შ. თაგუკაშვილი**



ძორაჰესის ერთი ა.ბ-თა ააი გიგაალია

# ცხოვრება და სიკვდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

გავტუტუცდი, თუმცა ეს აკრძალულია პოლიციის მიერ, მაგრამ მე ვარღვევ კანონს და ყოველ მგზავრს ვეტანები.

— ბილეთი ხომ არ გაქვთ, ძალიან მეჩქარება!

დაბოლოს ფქვილის საწყობში ვარ; საჭიროა ერთი კაცი. შეკრებილა კი დიდძალი ბრბო. ერთი ბედნიერი წაიყვანეს; დანარჩენებს თავაზიანად გვთხოვეს დაშლა. არავინ მიდის. ჩვენ ვდგევართ, თითქოს სამუშაოს სუნით მოჯადოებულნი. ვტკეპნით ერთ ადგილს, რაღაცას ველით.

გამოდის წითელლოყებიანი მამაკაცი და გვეუბნება:

— ბატონებო დაიშალეთ აქ სამუშაო არ არის. ჩვენ კი ისევ ვდგევართ. სად უნდა გვეჩქარებოდეს. საით უნდა წავიდეთ? ჩვენებური პატარა ოტტო ხუმრობით მიყვირის:

— შენ ალბერტ, გეჩქარებოდა (როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ. სამუშაო ბაყაყი არ არის, არ გადახტება.

მაგრამ ხუმრობის დრო არ არის; გამოჩნდენ შუპოები, ისინი გაშლილი ხელებით გვიახლოვდებიან, თითქო ჩვენი ჩახვევნა სურთ. მარჯვენა ხელში კომბლებს აკვინწიალებენ; ისინი გვერეკებიან შემდეგი სიტყვებით:

— ბატონებო, დაიშალეთ.

ჩვენ ვეხეტებით ქუჩებში. არავისათვის არა ვართ საჭირო.

მე უკვე ვიწყებ იუსტიციის მინისტრის, ბატონი ბრეტის გაგებას, რომელმაც მიტინგზე სთქვა.

— ერთი ღამით, რომ ოცი ათასი გერმანელი დაიხოცებოდეს, გერმანია ბედნიერი ქვეყანა იქნებოდა!

მაგრამ მინისტრის ოცნება არ ხდება. ჩვენ გვინდა ცხოვრება.

და აი მე — მათხოვარი, მივდივარ სხვა მათხოვრებთან და მოწყალებას ვითხოვ.

კიბეებზე ყოველდღე ვხვდები კოლეგებს. მათ უხდებათ თეთრი საყელოები, გაწმენდილი ფეხსაცმელები, გულმოდგინეთ გაუთავებული, თუმცა აქა იქ დაკერებული შარვლები. ზოგიერთებს ახლად გაპარსული ლოყები უბრწყინავს, როგორც ჩანს ისინი ახლახან მოეკიდენ ახალ პროფესიას. მე კიდეც მრცხვენია მათ წინაშე. ვეკითხები ჩემს თავს:

— ეგ შენა ხარ ალბერტ ვილიანდ. შენც გიყვარდა დილდილობით ფეხსაცმელების გაწმენდა, ყელსახვევის გულმოდგინეთ გამოსკვნა. შემხვედრებისათვის ალერსიანი ღიმილის ჩუქება. შენ მაგრათ აბიჯებდი მიწაზე, ახლა კი მოტეხილი დგეხარ უცხო კარების ზღურბლთან და გულს ბაგაბუგი გააქვს ვიდრე ზარს დარეკავ და აცნობებ უცნობ ხალხს.

— შემდეგი მთხოვარი!

მე ვითხოვ მოწყალებას ჩემი ოჯახის სახელით, მე ვითხოვ გრეტესთვის ელზასთვის ჩემი პატარა გარრისთვის. მე მახსოვს ისინი, მაგრამ ვერაფერს ვუგზავნი. წერილის გასაგზავნი ფულიც არა მაქვს. მცირე გროშებს, რომ ხელში მო[illegible]იბ, მაშინ არ ვიცი როგორ მოვიქცე.

— წერილი გავგზავნო თუ სიგარა გავაბოლო.

ai, ასე იაფფასიან სიგარასავით ქწარედ იბოლება ჩემი ცხოვრება. ყოველ დღე დავდივარ წმინდა პავლის ეკლესიაში, იქ უმუშევრებს უფასო სადილს აძლევენ. ერთი თეფში წვენისთვის ვრცელი ქადაგება უნდა მოისმინო. წვენში ხორცის ნასახიც არ არის, სამაგიეროთ ქადაგებაში ნათლად არის მითითებული, რომ სამშობლო მძიმე დღეებს განიცდის, ურჩულობას უნდა ვერიდოთ და გავამაგროთ არსებული წესწყობილება და არსებული ხელისუფლება.

— მოთმინება — იძახის მღვდელი. ჩვენი მოთმინება თამბაქოს ძაფივით წყდება. მე ვკითხულობ გაზეთებში, რომ ზოგიერთი ჩემი კოლეგები უფულოდ „ყიდულობენ“ და ვეუბნები ჩვენებურ პატარა ოტტოს:

— ისინი ყოჩაღებია.

ოტტო შეთქმულივით მიპასუხებს: დღის სამ საათზე „ჩრდილოეთის ვარსკვლავთან“ მოდი, მიულერ შტრასეზე.

ამისთანა მაძღარი სადილის და ასეთი დამაჯერებელ ქადაგების შემდეგ მე უყოყმანოდ გავსწიე იქეთ.

„ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ ვიტრინასთან ვიდექ და მიუწდომელ სამოთხეს ვათვალიერებდი. კარაქი, ძეხვი, სასისკები, ყველი.

ჩემ ცხვირ წინ ფანჯარას ქვა მოხვდა. ის ისროლა კაცმა გაქანებულ ავტომობილიდან. უცებ გაჩნდენ ხაკისფერ ქურთუკიანი ბიჭები და კარაქს და ძეხვებს მიაშურეს. აქ ოტტოც იყო. ის მოქმედებდა თავბრუ დამხვევ სიჩქარით, იტვირთებოდა პროდუქტებით.

ეს მოხდა წამში, გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემს ხელში ძეხვები გაჩნდა. განუურკვევლად ვიდექი; გული მიცემდა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულვიყავი. — დავაგდო ძეხვი და სხვებთან ერთად გავექცე შუპოს, რომელიც კომბალის ქნევით მოჰქრის ჩვენსკენ?! ჩანს, მე დიდხანს ვყოყმანობდი. ასეთ საქმეში ყოყმანისათვის ისჯებიან. ჩემი კოლეგები მირბოდენ. მე კი შუპომ საყელოზე წამატანა ღონიერი მკლავი და — არც წამიყვანა, და არც წამილო, მიმასპინძლდებოდა წიხლებით.

გაასამართლეს ძარცვა-გლეჯისათვის. შუპომ, სახელად ზეიდელმა წყეულიც იყოს — სასამართლოს მისცა ჩვენება, თითქო მე ვისროლე ქვა. და ვხელმძღვანელობდი ბანდას. არავითარმა ფიცმა და მტკიცებამ არ მიშველა. გირვანქა ძეხვისთვის რვა თვის ციხე მომისაჯეს.

და აი, მე ვზივარ რკინის ფანჯრებს იქით, ჩემს ცოლის ძმას, — ზივარტს



ქუთაისი. მაუდის ფაბრიკის [illegible] ცეხის დაზგა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარმოედგინა, რომ მე ბერლინში კარგად მოვეწყე და კვალ-დაკვალ მომსდია გამბორნიდან ბერლინში. სასიხარულო ცნობა მომიტანა. თურმე კანონმა თავისი მოწყალების კალთა იქაც გადამაფარა, გამბორნში ბატონ ტისენს, ჩემს ძველ პატრონს, გადაუწყვეტია, რომ უკვე დროა ქუჩაში გამოყაროს ჩემი ოჯახი. ბინის ქირა დიდი ხნით გადაუხდელია. გრეტამ უარი განაცხადა გამოსახლებაზე და მაგრათ ჩაიკეტა.

ვახმისტრი როიბკე, აკაკუნებდა კარებზე, ხან თავაზიანად, ხან უხეშად, მაგრამ ის არ პასუხობდა. ვახმისტრმა გამოიწვია ცეცხლის ნქრობელი რაზმი და რამოდენიმე შუპო, რომლებიც მოგრიალებდენ საბარგო ავტომობილით.

და აი, ისინი ანგრევდენ ჩემს ბუდეს; ტისენის მაღაროებში, ოცი წლის მიწის ქვეშ შრომის ოფლით მორწყულ კერას. ისინი სარდაფში ჰყრიან განიერ საწოლებს, ლუნლულა ბუმბულებს, პატარა ხალებს, თეფშებს, სურათებს, ყველაფერს, რაც კერის სიყვარულით მქონდა შეძენილი; — და ამ წუთში გრეტე ფიქრობს, რომ მე უღალატე მას. გავეცი და მოვისვენე.

არა. მოსვენება მკვდარია ჩემთვის. ღამღამობით ჩემს თავზე დაიხრება ვახმისტრი როიპკე. მას ვეფხის სახე აქვს და რეზინის კომბალს კუდივით გრეხავს. ის აღებს ხახას, ეშვებით მესობა გულზე და ჩემი სისხლი თვალებში ესხმება მას. ყოველდღე ვიღვიძებ ასეთი გულისტკივილით, თითქო ეს მართლაც მომხდარიყოს.

მე შევეჩვიე ამ ტკივილს. ის არ მაშინებს.

და მე ზოგიერთ უმუშევარ კოლეგების მიბაძვით, გთხოვთ თქვენ ბატონო დირექტორო, მიიღოთ ჩემი წინადადება. პატივცემულ საზოგადოების თანდასწრებით ნამდვილ ვეფხს მიეცით ჩემი თავი დასაგლეჯად. ჩემთვის სულ მცირეს ვთხოულობ. დაეხმარეთ ჩემს გრეტას, ელზას, გარრის. დეე იცოდენ რა შეუძლია მოსიყვარულე მამას და ქმარს.

ბერლინში არის ბარიკადების ქუჩა. —კესლინერ-შტრასე. აქ, როგორც წყალსადენის ბინძურ ორმოში, ჩამოდიან ღარიბები და ავსებენ დაობლებულ, აშმორებულ სარდაფებს. 1929 წელს 1 მაისს ამ ქუჩამ ბარიკადა აღმართა ცერგიბელის წინააღმდეგ და მანაც სისხლით მორწყო ის. აქ ყოველ ბავშს ახსოვს შუპოების სიმხეცე. მრავალი კაცი, ქალი და მოზარდი გამოიყვანეს ქუჩაზე, შეკოჰეს თოფებით და კონდახებით სცემეს, რომ სხვებსაც შეშინებოდათ. მაგრამ ახლაც, მაისობაზე აქ ყოველ ფანჯრიდან იხედება წითელი დროშა საბჭოთა ვარსკვლავით. პოლიციელს და ფაშისტს არ შეუძლია ამ ქუჩაზე გავლა, რომ თავის გატეხის შიში არ ქონდეს. ეს ქუჩა რისხვით გატენილი ბომბია. აქ ხშირად ხედავენ, როგორ მოდიან პოლიციელების საბარგო ავტომობილები და ციხეში მიჰყავთ კლასიორი მებრძოლები. ღარიბები ეხმარებიან დაჭერილთა ოჯახებს. აგროვებენ გროშებს სერთაშორისო მუშათა დახმარებისათვის. აქ არ ივიწყებენ ტუსაღებს და მათი განთავისუფლების დღეს, ციხის კარებთან ხვდებიან ყვავილებით, რომელიც ნაყიდია ნამათხოვარი გროშებით.

აქ შეიძრენ, როცა გაზეთებში წაიკითხეს ალბერტ ვილიანდის არაჩვეულებრივი საქციელის შესახებ. და აი, როცა ალბერტ ვილიანდის გაუღეს ციხის კარები, მან დაინახა მიხაკის ფერ ქურთუკიან ბიჭების და შეწუხებულ ქალების ბრბო. ესენი იყვნენ მცხოვრებნი ბარიკადების ქუჩიდან. ისინი მოვიდნენ ვილიანდის მისასალმებლად, რომ მიიღონ იგი თავის ოჯხაში, თავის ბანაკში. ისინი მოვიდნენ უთხრან, რომ მათ, ახრჩობს გაჭირვება, მაგრამ ისინი არ აძლევენ თავიანთ თავს მხეცების დასაგლეჯად, არამედ თვითონ იბრძვიან, კლასიურ ბრძოლებში, როგორც მხეცები. ამ უცნობ ბრბოდან ვილიანდს შემოეგება მისი სოფლელი პატარა ოტტო. მან გაუწოდა ყვავილები და ხუმრობით შესძახა:

— ალბერტ, ეს რა გამოიგონე! შენი სხეულით კვებო მხეცები?! შენ უფრო სულელი ხარ, ვიდრე ამის ნებას პოლიცია იძლევა.



დაჭერილი მუშების გაზიდვა ქარხნიდან

# წარმოდგენა ტროკადეროში

ტროკადერო — ეს ყველაზე უდიდესი დარბაზია პარიზში. ბურჟუაზიული მიდგომით სხვადსხვა ფენების წარმომადგენლები, რიცხვით ექვსი ათასი ადამიანი, შეიკრიბენ ამ დარბაზში 27 ნოემბერს, პოლიტიკური წარმოდგენის — „განიარაღების კონფერენციის“ — რეპეტიციის გასავლელად. ოფიციალური ენით ამას უწოდებენ განიარაღების საერთაშორისო კონგრესის საჯარო სხდომას.

ესტრადაზე კვახებივით ელაგენ პეციმიზმის გამოჩენილ ივარსკვლავები: საფრანგეთის რადიკალური პარტიის ლიდერი ერიო, ტარანივით განხმარი ინგლისელი სესილი, შალოია, ჟუო, სენატორი ჟუნეველი და სხვადასხვა სახელმწიფოს ელჩები. სენატორმა ბორამ ვაშინგტონში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ოკეანეს გადაღმიდან რადიოთი გადმოსცეს. პიესის მიხედვით, წარმოდგენა შემდეგნაირად უნდა გათამაშებული ყო: ესტრადაზე უნდა გამოსულიყვნენ სიტყვებით ზავისა და ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის განიარაღების სამზადისის შესახებ, დარბაზში ამ სიტყვებს ტაშით უნდა შეჰვებებოდენ და მოეჩვენებიათ ხალხისთვის რომ განიარაღებისთვის ემზადებიან. მიუხედავად ასეთი დარიგებისა, მსახიობებმა სცენაზე საერთო ენა ვერ გამონახეს. ვერც კი ასწრებდა ორატორი ტრიბუნაზე ოთხი სიტყვის თქმას „ჩვენ მზად ვართ ზავისთვის“ რომ იმ წამსვე დარბაზში ნადირისებური ღრიალი ატყდებოდა. დამსწრე საზო-

# ცხოვრება და სიკვდილი

(დასასრული)

გავტუტუცდი, თუმცა ეს აკრძალულია პოლიციის მიერ, მაგრამ მე ვარღვევ კანონს და ყოველ მგზავრს ვეტანები.

— ბილეთი ხომ არ გაქვთ, ძალიან მეჩქარება!

დაბოლოს ფქვილის საწყობში ვარ; საჭიროა ერთი კაცი. შეკრებილა კი დიდძალი ბრბო. ერთი ბედნიერი წაიყვანეს; დანარჩენებს თავაზიანად გვთხოვეს დაშლა. არავინ მიდის. ჩვენ ვდგევართ, თითქოს სამუშაოს სუნით მოჯადოებულნი. ვტკეპნით ერთ ადგილს, რაღაცას ველით.

გამოდის წითელლოყებიანი მამაკაცი და გვეუბნება:

— ბატონებო დაიშალეთ აქ სამუშაო არ არის. ჩვენ კი ისევ ვდგევართ. სად უნდა გვეჩქარებოდეს. საით უნდა წავიდეთ? ჩვენებური პატარა ოტტო ხუმბრობით მიყვირის:

— შენ ალბერტ, გეჩქარებოდა (როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ. სამუშაო ბაყაყი არ არის, არ გადახტება.

მაგრამ ხუმბრობის დრო არ არის; გამოჩნდენ შუპოები, ისინი გაშლილი ხელებით გვიახლოვდებიან, თითქო ჩვენი ჩახვევნა სურთ. მარჯვენა ხელში კომბლებს აკვიწრიალებენ; ისინი გვერეკებიან შემდეგი სიტყვებით:

— ბატონებო, დაიშალეთ.

ჩვენ ვეხეტებით ქუჩებში. არავისათვის არა ვართ საჭირო.

მე უკვე ვიწყებ იუსტიციის მინისტრის, ბატონი ბრეტის გაგებას, რომელმაც მიტინგზე სთქვა.

— ერთი ღამით, რომ ოცი ათასი გერმანელი დაიხოცებოდეს, გერმანია ბედნიერი ქვეყანა იქნებოდა!

მაგრამ მინისტრის ოცნება არ ხდება. ჩვენ გვინდა ცხოვრება.

და აი მე — მათხოვარი, მივდივარ სხვა მათხოვრებთან და მოწყალებას ვითხოვ.

კიბეებზე ყოველდღე ვხვდები კოლეგებს. მათ უხდებათ თეთრი საყელოები, გაწმენდილი ფეხსაცმელები, გულმოდგინეთ გაუთავებული, თუმცა აქა იქ დაკერებული შარვლები. ზოგიერთებს ახლად გაპარსული ლოყები უბრწყინავს, როგორც ჩანს ისინი ახლახან მოეკიდენ ახალ პროფესიას. მე კიდეც მრცხვენია მათ წინაშე. ვეკითხები ჩემს თავს:

— ეგ შენა ხარ ალბერტ ვილიანდ. შენც გიყვარდა დილდილობით ფეხსაცმელების გაწმენდა, ყელსახვევის გულმოდგინეთ გამოსკვნა. შემხდურებისათვის ალერსიანი ღიმილის ჩუქება. შენ მაგრათ აბიჯებდი მიწაზე, ახლა კი მოტეხილი დგეხარ უცხო კარების ზღურბლთან და გულს ბაგაბუგი გააქვს ვიდრე ზარს დარეკავ და აცნობებ უცნობ ხალხს.

— შემდეგი მთხოვარი!

მე ვითხოვ მოწყალებას ჩემი ოჯახის სახელით, მე ვითხოვ გრეტესთვის ელზასთვის ჩემი პატარა გარრისთვის. მე მახსოვს ისინი, მაგრამ ვერაფერს ვუგზავნი. წერილის გასაგზავნი ფულიც არა მაქვს. მცირე გროშებს, რომ ხელში მო----იბ, მაშინ არ ვიცი როგორ მოვიქცე.

— წერილი გავგზავნო თუ სიგარა გავაბოლო.



ქუთაისი. მაუდი ფაბრიკა არანდავ ცეხის დამკვ. უშა ალები.

აი, ასე იაფფასიან [illegible] ქწარედ იბოლება ჩემი ცხოვრება. ყოველ დღე დავდივარ წმინდა პავლის ეკლესიაში, იქ უმუშევრებს უფასო სადილს აძლევენ. ერთი თეფში წვენისთვის ვრცელი ქადაგება უნდა მოისმინო. წვენში ხორცის ნასახიც არ არის, სამაგიეროთ ქადაგებაში ნათლად არის მითითებული, რომ სამშობლო მძიმე დღეებს განიცდის, არეულობას უნდა ვერიდოთ და გავამაგროთ არსებული წესწყობილება და არსებული მთავრობა.

— მოთმინება — იძახის მღვდელი.

ჩვენი მოთმინება დამპალ ძაფივით წყდება. მე ვკითხულობ გაზეთებში, რომ ზოგიერთი ჩემი კოლეგები უფულოდ „ყიდულობენ“ და ვეუბნები ჩვენებურ პატარა ოტტოს:

— ისინი ყოჩაღებია.

ოტტო შეთქმულივით მიპასუხებს:

დღის სამ საათზე „ჩრდილოეთის ვარსკვლავთან“ მოდი, მიულერ შტრასეზე.

ამისთანა მაძღარი სადილის და ასეთი დამაჯერებელ ქადაგების შემდეგ მე უყოყმანოდ გავსწიე იქეთ.

„ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ ვიტრინასთან ვიდექ და მიუწდომელ სამოთხეს ვათვალიერებდი. კარაქი, ძეხვი, სასისკები, ყველი.

ჩემ ცხვირ წინ ფანჯარას ქვა მოხვდა. ის ისროლა კაცმა გაქანებულ ავტომობილიდან. უცებ გაჩნდენ ხაკისფერ ქურთუკიანი ბიჭები და კარაქს და ძეხვებს მიაშურეს. აქ ოტტოც იყო. ის მოქმედებდა თავბრუ დამხვევ სიჩქარით, იტვირთებოდა პროდუქტებით.

ეს მოხდა წამში, გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემს ხელში ძეხვები გაჩნდა. გაოურკვევლად ვიჯექი; გული მიცემდა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულვიყავი. — დავაგდო ძეხვი და სხვებთან ერთად გავექცე შუპოს, რომელიც კომბალის ქნევით მოჭქრის ჩვენსკენ?! ჩანს, მე დიდხანს ვყოყმანობდი. ასეთ საქმეში ყოყმანისათვის ისჯებიან. ჩემი კოლეგები მირბოდენ. მე კი შუპომ საყელოზე წამატანა ღონიერი მკლავი და -- არც წამიყვანა, და არც წამილო, მიმასპინძლდებოდა წიხლებით.

განასამართლეს ძარცვა-გლეჯისათვის. შუპომ, სახელად ზეიდელმა წყეულიც იყოს — სასამართლოს მისცა ჩვენება, თითქო მე ვისროლე ქვა. და ვხელმძღვანელობდი ბანდას. არავითარმა ფიცმა და მტკიცებამ არ მიშველა. გირვანქა ძეხვისთვის რვა თვის ციხე მომისაჯეს.

და აი, მე ვზივარ რკინის ფანჯრებს იქით, ჩემს ცოლის ძმას, — ზივარტს